საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 15 ივნისი. 2020 წ. №73 (8999) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ურმებით გაზიდული საგანძური და მეორე ექვთიმე

6

დღეს რომ მისი ბადალი თუნდაც ერთი მეცნიერი გვყავდეს!..

სამხედრო-ტექნიკური საოცრების – „ტოპოლის“ ავტორი ალექსანდრე ნადირაძე

7

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხვალ, 16 ივნისს

ტრამპი იუბილარია



დონალდ ტრამპი 74 წლის გახდა. დაბადების დღე პრეზიდენტს ორიგინალურად მიულოცეს სამხრეთ კაროლინელმა რესპუბლიკელებმა. ტრამპის პატივსაცემად მათ ჰარტველის ტბაზე ნავების აღლუმი, ე.წ. „ტრამპტილა“ მოაწყვეს. ანალოგიური აქცია გაიმართა დეტროიტშიც. მონტანაში კი პრეზიდენტის პატივსაცემად ავტომანქანების აღლუმი მოეწყო.

ჩემპიონი



როზა ბერიკაშვილი

10

„დიდი მოთხოვნაა რუსეთიდან, ზაფხული და შემოდგომა საკმაოდ დატვირთული გვაქვს“...

4

რა კავშირი აქვთ „ქურდების“ მკვლელობას ხაჯიმბას გადადგომას, არძინბას სახლის დაცხრილვასა და პატიმრების უცნაურ გაქცევებს!..

8

თამარ ჩერგოლეიშვილი: ამ ხარბ კაცს ბიძინას დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა...

აბსოლუტური მმართველობა — ან არაფერი. ესაა სააკაშვილის მიდგომა — საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის იდეას ოპოზიციის ერთიანი საარჩევნო სიის შექმნისა და ადგილების რეიტინგის მიხედვით გადანაწილებაზე „ტაბულას“ მთავარი რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი ეხმიანება:

„ეს მაგრად წვალობს:

1. მაჟორიტარებზე კოორდინაციის ჩაშლა უნდა — როგორც არაერთხელ მითქვამს, ამ ხარბ კაცს ბიძინას დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა თუ თვითონ მოვა აბსოლუტური უმრავლესობით და პროპორციული არჩევნები, ბუნებრივი ბარიერი და 30 მაჟორიტარზე კოორდინაცია ამ შანსს სპობს.

ანუ, ან მიშას აბსოლუტური მმართველობა — ან არაფერი. ესაა სააკაშვილის მიდგომა.

2. ხვდება, რომ მაჟორიტარებზე შეთანხმების ჩაშლა ძალიან დააზიანებს ისევ საპროტესტო ელექტორატს და მის ავტორიტეტს დედას უტირებს.

3. ამიტომ ერთიანი სიის უტოპიური და სრულიად ბრიყვული იდეებით გამოდის (ყოველთვის ბრიყვული იყო — ყველა სისტემაში), რომ მაჟორიტარებზე შეთანხმების ჩაშლა თუ გაიტანა საკუთარ პარტიაში — მერე თქვას მე ერთიანობისთვის ვიბრძოდიო.

აი, სულ ესაა მიშას გაქანება“, — წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

შალვა ნათელაშვილი: საერთო სია იქნება ჩასაძირად გამზადებული „ტიტანიკი“

ისტორიულად, სიის შედგენა, ერთ პარტიაშიც კი, ნგრევისა და დაპირისპირების საფუძველია, — ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ერთიანი საარჩევნო სიის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოწოდებაზე კომენტირებისას განაცხადა.

„ვფიქრობ, რომ ამ სურვილს კეთილშობილური მოსაზრებები უდევს საფუძვლად, მაგრამ პირველად საქართველოს ისტორიაში, პოლიტიკურმა სპექტრმა მოახერხა გაერთიანება იდეის, მიზნის და არა სიის გარშემო. შედეგები გრანდიოზულია, გადავანგრიეთ მაჟორიტარული მძარცველური სისტემა პოლიტიკურ იერარქიაში. განთავისუფლებულია პოლიტპატიმართა დიდი უმრავლესობა და ამავდროულად, ვემზადებით მრავალპარტიული მთავრობის შესაქმნელად, რაც გამორიცხავს ერთპარტიულ მმართველობასა და კერპების წარმოშობას. საერთო სია შექმნილ ვითარებაში იქნება ჩასაძირად გამზადებული „ტიტანიკი“, რაც ოლიგარქის უძველესი ოცნებაა, რათა მან კვლავ ორ პოლუსად დაყოს პოლიტიკური სივრცე. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს მიზანი ოლიგარქმა ვერ შეასრულოს. იმედია, მთელი პოლიტიკური სპექტრი ასეა განწყობილი“...

აგროდაზღვევის ბენეფიციარებს სეტყვით მიყენებული ზარალი აუნაზღაურდებათ

შიდა ქართლის რეგიონში აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი აუნაზღაურდებათ. ინფორმაციას ერთიანი აგროპროექტი ავრცელებს. მათივე ცნობით, სადაზღვევო კომპანიების მიერ ზარალის ოდენობა დათვლილია.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საგენტოს საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი ნატალია ხარატიშვილი, შიდა ქართლის მხარის რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე და სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ წარმომადგენლები, გორის მუნიციპალიტეტში, სეტყვის შედეგად დაზარალებულ ფერმერებს შეხვდნენ და დაზიანებული სავარგულები დაათვალიერეს.

„მოვუწოდებთ ფერმერებს, დააზღვიონ საკუთარი მოსავალი. სახელმწიფო აგროდაზღვევა პირობებს მუდმივად აუმჯობესებს. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, აგროდაზღვევა მრავალწლოვანი კულტურებისთვის სამწლიანი გახდა. სახელმწიფო ყველა კულტურაზე სადაზღვევო პოლისის 70 პროცენტის, ხოლო ვაზზე — 50 პროცენტის დაფინანსებას ახდენს“, — განაცხადა ნატალია ხარატიშვილმა. ნუგზარ სამხარაძის განცხადებით, მნიშვნელოვანია, ფერმერებმა გამოიყენონ სახელმწიფოს მხარდაჭერა, დააზღვიონ საკუთარი მოსავალი და იყვნენ დაცულები.

არ ვიცით, რას ეუბნებოდა ამომრჩეველი

„ქართულ ოცნებას“ ბეწვის ხიდზე უწევს გავლა, რათა დარჩენილ პერიოდში ისეთი შეცდომები არ დაუშვას, რაც ამომრჩეველს მის მიმართ გულს გაუტეხს და აიძულებს, არ წავიდეს არჩევნებზე. ამომრჩევლის სახლში დაჯდომა კი ოპოზიციას უფრო აწყობს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“, — აცხადებს ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** FOR.GE-სთან საუბრისას.

— ყოველდღიურად ახალ-ახალი პარტიები იქმნება, აქტიურდებიან ძველი თუ ახალი პოლიტიკოსები, ე.წ. დამოუკიდებელი დეპუტატები, ასევე, ქმედით რელსებზე გადადის ნატო ჩხეიძე, უახლოეს ხანში თავის განაცხადს გააკეთებს ალეკო ელისაშვილის სამოქალაქო მოძრაობა... პარტიების სიჭარბე რას ნიშნავს და ამდენ ძალაში რატომ არ ჩანს მესამე ძალა? იქნებ, უბრალო მხატვრული გამოთქმით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ მესამე ძალა თვითონ ხალხი, ანუ ამომრჩეველია?

— ხალხი ვერ იქნება მესამე ძალა. ასეთ დეფინიციას ჯერ აქამდე არ შევხვედრივარ, რომ ხალხია მესამე ძალა. რაც შეეხება პარტიების დაბადების ბუმს, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მე ვფიქრობ, ეს გამოწვეულია იმ ცვლილებით, რაც მოხდა საარჩევნო კოდექსსა და კონსტიტუციაში, როდესაც შეიცვალა საარჩევნო სისტემა და საარჩევნო ბარიერმა 1%-მდე დაიწია. ეს საშუალებას აძლევს წვრილ და ნაკლები რესურსების მქონე პარტიებს, ჰქონდეთ პარლამენტში გასვლის შანსი. 1%-ის გადასალახად, ჩემი გათვლით, საკმარისია დაახლოებით 17-18 ათასი ხმის მოგროვება. აქედან გამომდინარე, პარტიებს გაუჩნდათ შანსი და ლოგიკურია, მათ ეს შანსი გამოიყენონ. ამიტომაც ახლად შექმნილი პოლიტიკური გაერთიანებები, სამოქალაქო მოძრაობები და პარლამენტში შექმნილი ფრაქციები სასწრაფოდ ფორმირდებიან პარტიებად, რათა თავიანთი შანსი სცადონ. ამაში მე საოცარს ვერაფერს ვხედავ. თუმცა მეორე საკითხია, რომ ვიღაცას მარტივად ეჩვენება 18 ათასი ხმის მოგროვება. სინამდვილეში, ეს არც თუ ისე მარტივია იმ დიდი კონკურენციის პირობებში, რაც პარტიებს შორის წარიმართება. ამიტომაც პარტიებს, ალბათ, მოუწევთ კარგად დაფიქრება, რათა თავიანთი რესურსები კარგად გაზომონ, ვიდრე საარჩევნო პროცესში ჩაებმებიან.

ისევ მესამე ძალას რომ დავუბრუნდეთ, ტერმინი „მესამე ძალა“ უკვე დიდი ხანია, ფიგურირებს და ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, ეს მესამე ძალა თავის თავში რას წარმოადგენს. ეს არის რაღაც ახლად წარმოქმნილი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ბოლო პერიოდში შეიქმნა, თუ ეს არის ის ძალა, რომელიც შეიქმნა სწორედ ხალხის მოთხოვნების საპასუხოდ და თანახმად. როდესაც ჩვენ გვაქვს ამდენი გადაუწყვეტელი ამომრჩევლის პროცენტი, სადღაც 40-50%-მდე, რატომღაც ყველა უკავშირებს ამას ამომრჩევლებში მესამე ძალის მოლოდინს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს პასუხი კითხვაზე, რას ელოდება თავად ამომრჩეველი ამ მესამე ძალისგან, როგორ წარმოუდგენია მესამე ძალა, ანუ ამ ძალას რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს, რა იდეოლოგია, როგორი პლატფორმა, როგორი პროგრამა, როგორი ტიპის პოლიტიკოსები უნდა იყვნენ იქ წარმოდგენილნი.

— მესამე ძალის ზოგადი დებულებაა, რომ ის არ უნდა იყოს აფილირებული არც ნაცებთან, არც ქოცებთან...

— რა თქმა უნდა, ეს თვისობრივად ახალი თემაა, რომელიც პასუხობს იმ მოთხოვნებს და მისწრაფებებს, რაც დღეს მოსახლეობაშია. რატომ არის ამდენი გადაუწყვეტელი ამომრჩეველი? იმიტომ, რომ არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა მათ იმედი გაუცრუეს. ამიტომაც იძლევა ჩვენი ამომრჩეველი პასუხს სოციოლოგიურ გამოკითხვებში — „არ ვიცი“, „არ გადამიწყვეტია“, „არც ერთს არ მივცემ ხმას“ და ა.შ. ამომრჩეველს აქვს თავისი პრეფერენციები, მოთხოვნები, ის თავისთვის ხედავს სასურველი პოლიტიკური ძალის კონტურებს, მაგრამ რა მოთხოვნილებებია, ჩვენ ეს არ ვიცით, რადგან სოციოლოგიური გამოკითხვისას არ უსვამენ მათ ასეთ კითხვას, შესაბამისად, არ ვიცით ამომრჩევლის განწყობა. ვიცით, რომ ამომრჩეველი იმედგაცრუებულია, მაგრამ რა უნდა მას ამ მესამე ძალისგან, ეს არ ვიცით.

— საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მამუკა მდინარაძის პროგნოზით, ოპოზიციის საერთო რეიტინგი 35-40% იქნება. ეს ნიშნავს, რომ გაერთიანების მიუხედავად, ამ არჩევნებზე ოპოზიციას წარმატების დიდი შანსი არ ექნება?

— მამუკა მდინარაძემ დაასახელა ის მიახლოებითი რეიტინგი, რაც შეიძლება ჰქონდეს ყველა ოპოზიციურ პარტიას, ერთად აღებულს, რომელიც ახლა შეკრებილია ლეიბორისტული პარტიის ოფისში, ასევე, იმ პარტიებს, რომლებიც მაგიდის გარშემო არ არიან, მაგრამ მიეკუთვნებიან ოპოზიციურ ფლანგს. პრინციპში, თუ გავითვალისწინებთ იმ სოციოლოგიურ გამოკითხვებს, რაც ადრეც ჩატარებულა, თუნდაც „ენდიაის“, „აირაის“ ან სხვა ორგანიზაციების მიერ, მამუკა მდინარაძის პროგნოზი შეიძლება რეალობასთან ახლოს იყოს, თუმცა სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, ამისთვის ახალი სოციოლოგიური გამოკითხვა უნდა ჩატარდეს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ამომრჩეველი მივა არჩევნებზე და მისცემენ თუ არა ისინი „ოცნებას“ იმდენ ხმას, რომ მან 40%-იანი ჩამკეტი ბარიერი გადალახოს. მოგეხსენებათ, თუ პარტიამ 40%-ზე მეტი ვერ დააგროვა, ის ვერ შექმნის საპარლამენტო უმრავლესობას და ვერ ჩამოაყალიბებს მთავრობას. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს ამომრჩეველზე. თუ ამომრჩევლის დიდი ნაწილი სახლში დაჯდება, პრინციპში, ეს უფრო ოპოზიციას აწყობს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“.

— როგორც ჩანს, გულდამშვიდების საფუძველი „ოცნებას“ არა აქვს და შესაძლოა, გამართლდეს მოარული ხმები, რომ მედიკოსების, მათ შორის, ლევან რატიანის ჩართვას აპირებენ „ოცნების“ საარჩევნო სიაში? ეს ნიშნავს, რომ მთლად კარგად არა აქვთ საქმე, როცა ექიმებზე დებენ ფსონს?

— ვერ გეტყვით, ჯერ ეს ინფორმაცია არავის დაუდასტურებია. საქმე ის არის, რომ ჩვენი ამომრჩევლის ქცევის თავისებურებებიც უნდა გავითვალისწინოთ, რადგან ჩვენ ვიცით, როგორ მოიქცა ამომრჩეველი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, როდესაც მისი პროტესტი, ანუ უკმაყოფილება საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევანით, რაც გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, იმით გამოიხატა, რომ „ოცნების“ ამომრჩევლის უმრავლესობა არ მივიდა არჩევნებზე, მაგრამ არჩევნებზე მივიდა ოპოზიციის ამომრჩევლის თითქმის მთელი შემადგენლობა, რამაც განაპირობა ის შედეგი, რაც დადგა პირველ ტურში. ამიტომაც, ახლა, „ქართულ ოცნებას“ ბეწვის ხიდზე უწევს გავლა, რათა დარჩენილ პერიოდში არ დაუშვას ისეთი შეცდომები და არ გააკეთოს ისეთი რამ, რაც ამომრჩეველს მასზე გულს გაუტეხს და აიძულებს, არ წავიდეს არჩევნებზე.

„ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, რა თქმა უნდა, ნაციონალებს ხმას არ მისცემს. შეიძლება მცირე ნაწილმა, რომელიც განაწყენებულია „ოცნებაზე“, წავიდეს და ხმა მისცეს „ლელოს“, „პატრიოტთა ალიანსს“, მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, ის არ წავა „ნაცმოძრაობის“ და მასთან აფილირებული პარტიისკენ. ვიმეორებ, ამომრჩევლის ძირითადი ნაწილი შეიძლება არ მივიდეს არჩევნებზე, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ისინი არ დაარწმუნა იმაში, რომ „„ნაცმოძრაობის“ რევანში რეალურია და არჩევნებზე „ოცნების“ მომხრეები აუცილებლად უნდა მივიდნენ.

— თქვენ ბრძანეთ ნაციონალების რევანშიზმის შესახებ. თუკი სააკაშვილმა ტაქტიკა შეიცვალა და უკრაინით „დაკავდა“, ანუ, თუ სააკაშვილს საქართველოსთვის აღარ სცხელა, მაშინ „ქართული ოცნება“ როგორ დაარწმუნებს ამომრჩეველს, რომ ნაცების რევანში მოსალოდნელია?

— ეს სრულიადაც არ უშლის სააკაშვილს ხელს, მისი ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით გაახმოვანოს თავისი მესიჯები. გარწმუნებთ, თუ საჭირო გახდა, სააკაშვილი ჩაერთვება ამა თუ იმ ფორმით საქართველოს საარჩევნო პროცესში. თუ სააკაშვილი საქართველოში ჩატარებული არჩევნების დროს გააქტიურდება, ეს „ქართული ოცნებისთვის“ ნამდვილი „საჩუქარი“ იქნება.

მანანა ნოზაძე

პოლიტიკური ონანიზმი „კრიტიკული“ მედიის თანხლებით

ამ დღეებში სოციალურ ქსელში საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავრცელდა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „ქართულ-ამერიკული რესპუბლიკური **ალიანსი“ მოუწოდებს ყველას, ვინც მხარს უჭერს წესრიგს და კანონის უზენაესობას შეერთებულ შტატებში.**

ვინც მომხრეა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ანტი ნეო-ლიბერალური პოლიტიკის, ეკონომიკური აღორძინებისა და სტაბილური განვითარების, ვინც ეწინააღმდეგება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენს შვილებს, თავს მოახვიოს მემარცხენე ტროცკისტულ-მარქსისტული იდეები, ვინც ეწინააღმდეგება არაადეკვატური „პოლიტკორექტულობის“ ტენდენციების დამკვიდრებას, ლიბერალურ მეინსტრიმ მედიის აშკარა მიკერძოებულობასა და ფეიკ ნიუსების გავრცელებას ზოგადად მიიჩნევს, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე აგორებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები მიმართულია გლობალისტური იდეოლოგიის მხარდასაჭერად და დასამკვიდრებლად შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, საქართველოს ჩათვლით.

მოგმართავთ თხოვნით და მოგიწოდებთ — შემოუერთდით და მხარი დაუჭირეთ „ქართულ-ამერიკულ რესპუბლიკურ ალიანსს“ და აშშ რესპუბლიკურ პარტიას, მხარი დაუჭიროთ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს მსოფლიო გლობალიზაციის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში!

„ქართულ-ამერიკული რესპუბლიკური ალიანსი“.

ნიუ იორკი, 13 ივნისი, 2020 წელი.

(ნიკოლოზ ჩხეიძე)

* * *

დიახ, საკმაოდ სერიოზული განცხადებაა იმ ფონზე, რასაც დღეს ჩვენს ირგვლივ ვხედავთ.

ზესახელმწიფო და ფაქტობრივად მთელი მსოფლიო, აშკარა საფრთხის წინაშე დგას. საფრთხის, რომელიც თუ აქამდე მხოლოდ რაღაც „რეზოლუციებითა“ და „შეშფოთებებით“ გვიტევდა, დღეს უკვე აშკარა ძალადობაზე გადმოვიდა.

ძალადობა, რომელიც თეთრკანიანებს აიძულებს, ფეხზე ემთხვიონ ზანგებს, ძალადობა, რომელიც მოუწოდებს ნიუ იორკის უნივერსიტეტის სამედიცინო ოფისების NYU Langon Health — ის თეთრკანიან თანამშრომლებს, რომ დღეს, დღის 12 საათზე უნდა გამოვიდნენ ქუჩაში და დაიჩოქონ შავკანიანებისთვის ბოდიშის მოხდის მიზნით;

ძალადობა, რომელიც ბოსტონში თავს ამტვრევს ქრისტეფორე კოლუმბის ქანდაკებას და ლონდონში უინსტონ ჩერჩილის ძეგლს შეურაცხყოფას აყენებს;

ძალადობა, რომელიც გაქირავებიდან იღებს უბრწიყნვალეს ფილმს „ქარწაღებულნი“.

„აშშ-ში მიმდინარე რასიზმის საწინააღმდეგო აქციების ფონზე, „ეიჩბიო მაქსმა“ ფილმი „ქარწაღებულნი“ თავისი კატალოგიდან ამოიღო.

უცხოური მედიის ცნობით, 1939 წელს გადაღებული ფილმი „ქარწაღებულნი“ „ეიჩბიოს“ პლატფორმიდან დროებით წაშალეს. „ეიჩბიოს“ განცხადებაში ნათქვამია, რომ ფილმი წარსული დროის პროდუქტია, ეთნიკურ და რასობრივ ცრურწმენებს ასახავს, რომლებიც წარსულშიც არასწორი იყო და დღესაც არასწორია. „ეიჩბიომ“ განაცხადა, რომ პლატფორმაზე ფილმის ახსნა-განმარტების გარეშე დატოვება უპასუხისმგებლობა იქნებოდა. კომპანიის ცნობით, სამომავლოდ ფილმს ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირებით ინფორმაციას დაურთავენ და კატალოგში დააბრუნებენ“.

ძალადობა, რომელიც აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს, გენერალ მარკ მილის აიძულებს ვაშინგტონში საპროტესტო აქციის დაშლის შემდეგ, ეკლესიაში დონალდ ტრამპთან ერთად მისვლას შეცდომა უწოდოს და ბოდიში მოიხადოს (ამის შესახებ სამხედრო მაღალჩინოსანმა ვიდეომიმართვაში განაცხადა);

ძალადობა, რომელიც ვირუსივით მოედო მსოფლიოს და მის წინააღმდეგ ბრძოლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა.

და რა ხდება ამ დროს საქართველოში?

პოლიტიკოსები, რომლებიც უნდა იცავდნენ ქვეყნის კონსტიტუციას, მის ღირებულებებს, დაემსგავსნენ ქელეხში „მარშუტკით“ მისულ ჭირისუფლებს, რომლებმაც კარგად ჭამეს, დალიეს და ახლა საწვავის ჩასასხმელად გასულ ტრანსპორტს ელოდებიან, ეზოში დგანან და ღლიციენებენ.

რა მინდა ვიკითხო: ყველამ, აი აბსოლუტურად ყველამ იცის, რომ ქართულ პოლიტიკურ „სპექტრში“ „მოღვაწე“ ტიპების აბსოლუტური უმრავლესობა იმ „სპეციალობებში“, რაც ავტობიოგრაფიაში უწერიათ სრულ ზეროს (სიცარიელეს) წარმოადგენენ და რადგანაც არც განათლება და არც შრომისმოყვარეობა არ ჰყოფნით, საკუთარი თავი და ოჯახები გამოკვებონ, პოლიტიკას „მიაშურეს“.

ხომ ყველამ, აბსოლუტურად ყველამ ვიცით, რომ ვირუსული დაავადება არსებობს. არსებობს ეს „დედააფეთქებული“ და საკუთარ ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ!!! არადა, გავიძახით რომ, რა პირბადე, რის ქელეხში არწასვლა და იმ ტიპის „ვაჟკაცობა“ — ჩემი ნათლულის ბიძაშვილის მეზობელი პატრულში მუშაობს და მთვრალი დავჯდები საჭესთან, „ატვეჩაი“ ვარო.

ყველამ, აბსოლუტურად ყველამ ვიცით, რომ დღევანდელი „მწერლების“ და „ვარსკვლავების“ უმრავლესობა ჩვეულებრივი ურბანული გოიმები და მდაბიოები არიან, რომლებიც ამაზრზენი ეპატაჟებით იკეთებენ პიარს.

ხომ ყველამ, აბსოლუტურად ყველამ ვიცით, რომ აგრესიული ლიბერალიზმი ამაზრზენია. განსაკუთრებით ამზრზენი კი იმ ხალხისგან, რომლებიც ორლიტრიან ყანწს ისე დაიფერთხავენ ყბის მარცხენა „ფრთაზე“ და მთელ შამფურ მწვადს ისე გამოხრავენ, რომ წარბსაც არ შეიხრიან, მაგრამ ათეისტობენ და ინგლისურ სიტყვებს ხმარობენ, რათა ვიღაცას „თავისუფალ მოაზროვნედ“, „ევროპელად“ და „ცივილიზებულად“ მოაჩვენონ თავი.

ეს და კიდევ ბევრი რამ, ხომ ყველამ ვიცით?

ჰოდა, რა უბედურება გვჭირს ხმას რომ არ ვიღებთ და უარეს ჭაობში ვცვივდებით?

ვცვივდებით, რადგანაც ვიღაც-ვიღაცებს „გამოცდილ პოლიტიკოსებს“ ვარქმევთ და მათს სისულელეებს ყურადღებას ვაქცევთ.

აი იმ ხალხს, ვინც „გამოცდილ პოლიტიკოსებზე“ ონანირებს, მინდა ვკითხო: სახლში „ელექტრიკმა“ ან „კაფელჩიკმა“ თავისი გასაკეთებელი კი არ გააკეთა, არამედ გაგიფუჭა — გამოსასწორებლად ისევ იმას მოიყვანთ?

მოიყვანთ კი არა, სისხლს ანთხევინებთ, ვიდრე გადახდილ ფულს უკან არ მოატანინებთ და საქართველო თქვენს სააბაზანოზე ნაკლები რატომ გგონიათ?

ამ ყველაფერ უბედურებაში კი ლომის წილი ე.წ. მედიას მიუძღვის.

მედიას, რომელიც რაღაც იდიოტურ ფასეულობებზე დადგა და იმის ნაცვლად, რომ ობიექტური ჟურნალისტიკა დაამკვიდროს, „კრიტიკულს“ ამკვიდრებს.

ამკვიდრებს ისეთი გავეშებით, რომ სულ მგონია, რომ ამ დამამკვიდრებლებს მუდმივი „კრიტიკული დღეები“ აქვთ.

ამ ორი დღის წინ „სკანდალური“ ინფორმაცია გავრცელდა, რომელსაც ჩემეული ინტერპრეტაცია მივეცი:

— ჟიჟილაშვილმა და სანაიამ „ტვ პირველი“ დატოოოვეეეს!

ქოშინით ამოირბინა ქურთმა მარატიკამ ქობულეთის აღმართი.

კარგით რა ხალხო, დატოვეს და დატოვეს. ეგენიც ერთბაშად სიენენზე გადავიდნენ რა და, მეორეც — ჟიჟილაშვილი და სანაია კი არა, თავის დროზე ტატიანა ვედენეევამაც დატოვა ტელევიზია, მარა თავი არავის მოუკლავს (არადა ტატიანას გადაცემა ასი თავით ჯობდა მაგათსას).

ან მეორე ფაქტი — „პალიტრა ნიუსისა“ და „იმედის“ ჟურნალისტმა გოგონებმა 13 ივნისის მემორიალთან პრემიერის ინტერვიუს შემდეგ იჩხუბეს.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი — ძალიან კარგი და მისასალმებელია, რომ პატარა ჟურნალისტ გოგონებს თავიანთი ტელეკომპანიის მიმართ ისეთი დამოკიდებულება აქვთ, რომ მზად არიან, ხელჩართულ ჩხუბშიც ჩაერთონ, მაგრამ ჩემი აზრით, ჟურნალისტიკაში მთავარი ის კი არ არის, ვისი მიკროფონი იქნება „ავანგარდში“ და ეკრანზე გამოჩნდება როგორც სხვასთან შედარებით „უფრო წინა პოზიციაზე მყოფი“, არამედ ის, თუ რა მასალას „აკრიფავ“ და შემდეგ სამონტაჟოში რას „გამოძერწავ“.

შეიძლება მიკროფონი კი არა, კამერაც არ გქონდეს (შემთხვევით შეესწრო ამბავს) და უმაგრესი სიუჟეტი გააკეთო.

მოკლედ რომ ვთქვა, ამ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორება ძალიან ძნელი იქნება, სანამ პოლიტიკანები ონანიზმს არ დაანებებენ თავს, ხოლო მედიას „კრიტიკული“ დღეები არ დაუმთავრდება.

გია გაბრიჭიძე

არჩევნები შესაძლოა, დეკემბერში გაიმართოს!

არჩევნები შეიძლება დეკემბერში გაიმართოს. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ „ქრონიკის“ ეთერში განაცხადა. მისი თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ეპიდემიის მეორე ტალღა დაემთხვა არჩევნებამდე, 31 ოქტომბრამდე პერიოდს.

„აციებას უკავშირდება რისკების ზრდა, სამწუხაროდ, ეს ემთხვევა არჩევნების თარიღს. კონსტიტუციის თანახმად, არჩევნები უნდა გაიმართოს 31 ოქტომბერს, მეორე ტური — სამ კვირაში, რაც უწევს დაახლოებით 21 ნოემბერს.

როგორი მაჩვენებლებიც არ უნდა გვქონდეს ოქტომბრისთვის, გარკვეული წესი ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს. ამაზე ჩვენ უკვე გვაქვს კონსულტაციები საერთაშორისო პარტნიორებთან და სხვა სუბიექტებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან ამ საკითხით. ეს არის ერთი საკითხი, მაგრამ შეიძლება, იყოს ვითარება, როდესაც ასეთი წესების დაცვამ, მაგალითად საარჩევნო უბნებზე პირბადეების ტარებამ და ასე შემდეგ, ამანაც არ მოგვცეს არჩევნების ჩატარების საშუალება. ასეთ შემთხვევაში პასუხს იძლევა კონსტიტუცია — თუ მეორე ტალღა დადგა და დაემთხვა არჩევნებამდე პერიოდს, ამ შემთხვევაში, შეიძლება, აუცილებელი გახდეს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ამაშიც არაფერია ტრაგიკული და თუ ეს მოხდა ოქტომბერში, ამ შემთხვევაში ოქტომბერში არ ჩატარდება არჩევნები, მაგრამ ჩატარდება პირობითად დეკემბერში და ეს არსებით საფრთხეს მაინც არ შეუქმნის კონკრეტულ პროცესს“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ქუდზე კაცი – მამულის გადასარჩენად!

საუკუნეზე ხანმეტად ნაღვაწარ-ნაამაგარ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბერიძიანთ გვარის ერთ-ერთი გამორჩეული მამულიშვილის ვაჟა ბერიძის ვრცელი წერილი „ავაღორძინოთ საქართველო“ რომ წავიკითხეთ, ჭეშმარიტად გული აგვიძგერდა და იმედიც გაგვისხივოსნდა!

დიახ, საქართველო უკვდავია, რადგან მას ჰყავს გულანთებული მამულიშვილები, რომლებიც დღესაც მზად არიან ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ უშურველად იღვაწონ და პირველყოვლისა, თავიანთი გვარიშვილობით იამაყონ და სხვებსაც მაგალითი მისცენ.

არ შეიძლება სიამაყით არ ვთქვათ, რომ ბერიძიანთ გვარის ერთი რჩეული კაცი, რუსთავის წარჩინებული პიროვნება, ფილოლოგი, მეცნიერი, პროფესორი **როლანდ ბერიძე** ჩვენი მეგობარი იყო და რომელმაც თავისი ნათელი კვალი დატოვა ქალაქის მატიანეში.

ერი, რომელსაც დიდი ილია ჭავჭავაძე ჰყავს მოძღვრად, უკვდავია!

დიახ, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, გავერთიანდეთ და ვუპატრონოთ, ეს როგორც არასდროს, დღეს გვჭირდება, თუნდაც დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისთვის, რადგანაც ერი დღითიდღე მცირდება, არადა, უცხოელნი მყარად იკიდებენ ფეხს ჩვენი დიდი წინაპრების სისხლით გაჟღენთილ მიწაზე.

„...ყველაზე უმთავრესი, მსოფლიო ცივილიზაციის გადამრჩენად მაღალი ღმერთის მიერ მოვლენილი იოსებ სტალინი!!! სტალინმა თავისი ყოფიერებით საქართველო მსოფლიო არენაზე პაწაწა იად წარადგინა და მის მიმართ თვით გვირგვინოსანმა ვარდებმაც კი თავი დახარეს“, — ბრძანებს გულანთებული მამულიშვილი და მეცნიერი ვაჟა ბერიძე.

დიახ, ჩვენც იმ მრისხანე ომის მომსწრენი, ჭირგამოვლილნი ვართ და გვახსოვს, გორელმა კაცმა როგორ დაანგრია პირსისხლიანი ფაშისტური ბუნაგი.

დიახ, იმ წლებში დიდი სტალინის მამულიშვილობით მკვდრეთით აღსდგა მტრისგან ნაოხარ-იავარქმნილი რუსთავ-ქალაქი და აღორძინდა ქართული მეტალურგია. ოცდაექვსწლიანელი 5 ათასი ჭაბუკი ბრძოლის ველის მაგივრად მეტალურგის პროფესიას აზიარა და განამტკიცა საქართველოს ინდუსტრია. რაც მთავარია, ერთხელ და სამუდამოდ განუმტკიცდა მამულს აღმოსავლეთის კარიბჭე.

ალბათ, ნებისმიერი თავმოყვარე ერი ასეთი გენიალური შვილის ძეგლს გადასაგდებად ვერ გაიმეტებდა!..

„ავაღორძინოთ სამშობლო“! — ბატონი ვაჟას ეს მოწოდება ყველა გვარს და მთლიანად საქართველოს აერთიანებს, ემიგრანტებს შინ დაბრუნებისკენ მოუწოდებს. არადა, დღეს ყველაზე დიდი და დროულად საღვაწი საქმეა დედამიწის ზურგზე გადახვეწილი 2 მილიონზე მეტი ქართველის სამშობლოში დაბრუნება, რომ იმათაც იღვაწონ და ილოცონ საკუთარი ცის ქვეშ, თავიანთი უფლის და ღვთისმშობლის წილხვდომილი მიწა-წყლის ასაღორძინებლად... იქნებ, ამადაც გვიბოძა უფალმა წინამძღოლად გიორგი გახარია, კაცი შემკული ყველა სიკეთით, სრულიად საქართველოს ჭირისუფალი და ნამდვილი კაიყმა...

უფალო, შენ გაამთლიანე და ააღორძინე ჩვენი საქართველო!

ვალერიან გრძელიშვილი,
გივი ჯაახუა,
მრავალ სამთავრობო ჯილდოთა მფლობელნი, უხუცესი რუსთაველები.

◎ წერილი რედაქციას

მშიშარა კაცი არა ვარ, მაგრამ...

პროფესიონალიზმი რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გადამწყვეტია, კარგა ხანია ვიცით. პროფესიონალიზმი ჩვენი პატარა, ღვთივკურთხეული ქვეყნისთვის რომ პატრიოტიზმის, ხალხის ღირსეულად მსახურების მთავარი განმსაზღვრელია, მრავალგზის უთქვამთ ერის ღირსეულ შვილებს.

კარგი, დაკვირვებული, განათლებული ექიმი, მასწავლებელი, მშენებელი, მსახიობი, რეჟისორი და თუნდაც რიგითი გამყიდველი ისე სჭირდება ქვეყანას, როგორც წყალი და ჰაერი...

მადლობა უფალს, რომ ჩვენი პატარა ერი, სახალხო თუ კლასიკური მედიცინის წყალობით, საუკუნეების განმავლობაში ღირსეულად უმკლავდება ათასგვარ სენს, მძიმე ვირუსებს და პანდემიებს, შავ ჭირს, ტიფს, ქოლერას თუ კორონას...

არადა, ავთვისებიანი სიმსივნეებისთვის, ინფარქტებისთვის, ინსულტებისთვის, გულსისხლძარღვთა იშემიური დაავადებებისთვის განწირულ თანამედროვე ადამიანს კიდევ ახალი, ჯერაც გამოუცნობი ეპიდემია უნდოდა?!.. ...სრულიად ჯანმრთელი 63 წლის მამაკაცი, ამ სამადლობელი სტრიქონების ავტორი, 3 ივნისის დილას, თითქოს, ჩვეულებრივად წამოვდექი ფეხზე... მაგრამ ენას ვერ ვაბრუნებ, სიტყვების წარმოთქმა მიჭირს, წონასწორობას ვკარგავ...

ჩავიხედე სარკეში და რას ვხედავ: სვანეთის მთებში გაზრდილ ხაიშელ კაცს ყბა მოქცეული მაქვს, შუბლზე ზედმეტი ნაოჭები მომდებია, თითქოს ძილში მარჯვენა თვალი ვიღაცისთვის „ჩამიკრავს“ და ისე, ნახევრადმოჭუტული დამრჩენია...

მშიშარა არა ვარ, მაგრამ... გული ნამეტნავად ამიჩქარდა და მეუღლეს ძლივს წავულუღლუღე — სასწრაფო გამოიძახე!.. ისიც უმალ მიხვდა რაშიც იყო საქმე... 112-ის ოპერატორს რომ ელაპარაკ;ებოდა, მივხვდი ხმა და თითები როგორ უკანკალებდა... სასწრაფოს ბრიგადა 6-7 წუთში მოვიდა, ექიმმა შემომხედა თუ არა — „გადარჩენილხარ, მსუბუქი ჩაქცევააო“, მითხრა და თანდათან გულიც ჩაწყნარდა. მაშინ კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ იმედიანი სიტყვა არის — ღმერთი!

აკადემიკოს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში სწორედ ისეთი პროფესიონალი და ყოველმხრივ დალოცვილი მკურნალები დამხვდნენ, ზემოთ რომ ვახსენე. რომ იტყვიან, პირდაპირ გადამყვნენ მკურნალი ექიმი **მარიამ ქაფიანიძე,** მორიგე ექიმი **ქეთი ესართია,** მკურნალი მედდა **ლაურა აბულაძე** და მორიგე მედდა **სოფი კანდელაკი.**

გულწრფელი მადლობა თქვენ, ამ მაღალი პროფესიონალიზმისთვის, ჩემი სიცოცხლის გადარჩენისთვის, გაჭირვებული ადამიანების თანადგომისთვის. თქვენი დამსახურებაა, რომ სამ დღეში ისევ ჩვეულ ფორმაში ჩავდექი, სწორი დანიშნულებით მედიკამენტოზურ მკურნალობას ვიტარებ და სამსახურსაც დავუბრუნდი. გფარავდეთ ღმერთი ამ ყველაზე სახალხო, ყველაზე საჭირო, ყველაზე კეთილშობილურ პროფესიაში მოღვაწეობის გრძელ გზაზე, ჩემო მკურნალებო!

ავთანდილ ჭკადუა,
თბილისი.



„დიდი მოთხოვნაა რუსეთიდან, ზაფხული და შემოდგომა საკმაოდ დატვირთული გვაქვს“...

როგორ ხვდება ბორჯომის რეგიონი სეზონს?

ახალი კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქება დაიწყო. 15 ივნისიდან სასტუმროები ადგილობრივ ვიზიტორებს, ხოლო ივლისიდან საერთაშორისო ტურისტებს უმასპინძლებენ. ტურისტული რეგიონები ცდილობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორებისთვის სრულ მზადყოფნაში იყვნენ. ბორჯომი ტურისტული რეგიონებიდან ერთ-ერთია, სადაც სასტუმროები და კოტეჯები ყველა წესის დაცვით გახსნისთვის მზად არიან.

პანდემიის სიმძიმესა და რეგიონში კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებზე „კომერსანტთან“ **ბორჯომის მერის მოადგილე ბუბა ბერიძემ** ისაუბრა. მისი თქმით, პანდემიამ ტურისტული რეგიონები დააზარალა, თუმცა, ბორჯომი უკვე მზადაა ტურისტებს უმასპინძლოს.

„საკმაოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც ბორჯომზე, ასევე ბაკურიანზე კორონავირუსმა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტურიზმი იყო შემოსავლის ერთადერთი წყარო.დღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტი მზადაა ტურისტებს უმასპინძლოს. რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც წელს იყო დაგეგმილი და ზუსტად ვეტევით ვადებში. რამდენიმე ზონაში მეტად აქტიურია სამუშაო: ქალაქი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი და სადგერი. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მთელი სეზონი ბორჯომის ცენტრალური პარკი იქნება უფასო.

სასტუმროებს მიეცათ გახსნის უფლება და ემზადებიან სრული დატვირთვით მუშაობისთვის. ჩვენი მონიტორინგის ჯგუფები ყველა მათგანს ამოწმებს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში იყვნენ“, — აღნიშნა ბუბა ბერიძემ.

„კომერსანტის“ კითხვაზე, მოგვარდა თუ არა წყლის მიწოდების პრობლემა, რომლის წინაშეც მიმდინარე წლის ზამთარში რეგიონი იდგა, მერის მოადგილე გვპასუხობს, რომ ამ მიმართულებით ყველა სამუშაო დასრულებულია და პრობლემა აღმოფხვრილია.

„წელს იყო თუნდაც ბაკურიანში და ბორჯომში წყლის მიწოდების პრობლემა. ეს ხარვეზი აღმოფხვრილია და ახლა მსგავსი პრობლემა არ გვექნება. ამ მიმართულებით ისეთი მასშტაბით პრობლემა არ იქნება, შეიძლება პატარა ავარიები გვქონდეს, თუმცა, ამისთვის რეგიონი მზადაა“, —განაცხადა ბერიძემ.

ტურისტული სეზონის ამოქმედებას ელოდება ბორჯომში მდებარე სასტუმრო „ბორჯომ კლასიკი“. როგორც სასტუმროს მენეჯერი აცხადებს, პანდემიის შემდგომ პერიოდში როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებისთვის ფასები ხელმისაწვდომი იქნება.

„ჩვენი სასტუმრო 1 ივლისიდან გაიხსნება, სტანდარტული რეგულაციის დაცვით. მანამ ვერ ვახერხებთ, რადგან მცირე სამშენებლო პროცესი გვაქვს სასტუმროს ეზოში. სასადილო ოთახის სასტუმროსგან გამოყოფას ვგეგმავთ. არ გაგვიზრდია ვიზიტის ღირებულება, რადგან ვიაზრებთ განვითარებული მოვლენების სიმძაფრეს. შესაბამისად, ჩვენთან ნებისმიერ სტუმარს ძველი ფასით შეეძლება ნომრის დაჯავშნა.

ჩვენი სასტუმრო საკმაოდ პატარაა და ნაკლებად რისკიანიც. ივლისი-აგვისტოს სეზონი საკმაოდ აქტიური პერიოდია.

მოთხოვნაა, გვიკავშირდებიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებიც. საკმაოდ დიდი დაინტერესებაა რუსეთის მხრიდან. ეს პერიოდი რაც კორონავირუსის გამო პაუზა გვქონდა აღებული მძიმე აღმოჩნდა სასტუმროსთვის, თუმცა, საკმაოდ დატვირთული გვაქვს ზაფხული და შემოდგომა“, — აღნიშნა სასტუმროს მენეჯერმა.

ტურისტული სეზონის სრულ ამოქმედებას ელოდებიან ბაკურიანში მდებარე სასტუმროებიც. როგორც „მგზავრები ბაკურიანის“ ადმინისტრაციაში აცხადებენ, აპარტამენტი 15 ივნისიდან რეგულაციის ყველა წესის დაცვით ადგილობრივ ვიზიტორებს უმასპინძლებს.

„აპარტამენტი სტუმრების მისაღებად უკვე მზადაა, ის სტანდარტული რეგულაცია, რომელიც ყველა სასტუმროს დაუწესდა დაცული გვაქვს.

15 ივნისიდან იხსნება ადგილობრივი ვიზიტორებისთვის ტურიზმის სეზონი, თუმცა, ჯერ ადმინისტრაციაში ჯავშნებზე არ დაგვკავშირებიან. არ ვიცი რა ხდება კერძო მეპატრონეების შემთხვევაში. ფასებსაც კერძო მეპატრონეები აწესებენ. ჩვენ მხოლოდ მომსახურებას ვუზრუნველყოფთ. სავარაუდოდ ქვეყანაში ფინანსური კრიზისის გამო, აპარტამენტების ფასს არ გაზრდიან“, — აღნიშნეს „მგზავრების“ ადმინისტრაციაში.

ნათია ლომიძე

„ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“...

პასუხად რეზო გოგოხიას

ილია ჭავჭავაძე რომ გენიოსი მოაზროვნეა, ამ ფაქტითაც მტკიცდება: მან წინასწარ განჭვრიტა – გლახა ჭრიაშვილები არც ჩვენ ეპოქას მოაკლდებოდა. ამის მაგალითი რ. გოგოხიაა...

გაზეთის წინა წერილში (11.05.) მან ხომ „ზვიად გამსახურდიას მტრობა „ილიალოგთა კლუბს“ რაღაც ყურით მოთრეული აბსურდით – „მეგრული კუთხურობის“ სიძულვილით დაგვაბრალა, ახლა ამას ზედ დაამატა ჩემი გვარ-სახელის უნიჭო და უბადრუკი გასარჟებაც (1.06.)...

და ეს ნაცვლად იმისა, რომ ჩემს წერილში – „გონიერსა მწრთვნელი უყვარს“. (25.05.), დასმულ ერთ მარტივ კითხვაზე პასუხი გაეცა: **სად გაქრა ასე უკვალოდ 9 აპრილის ეროვნული ერთობის მუხტი, ამასთან, დაიკარგა ილიაც და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც, როცა რ. გოგოხია ზვიადის ხელისუფლებაში „მინისტრის პირველი მოადგილე“ იყო?!...**

მაგრამ მას ასეთი „წვრილმანი“ საკითხები არ აინტერესებს, სამაგიეროდ ისეთ გენიოსურ მიგნებებს (და გინებებს) გვთავაზობს, ლუარსაბსაც შეშურდებოდა... მაგრამ ვაგლახ რომ, ეს კი დაავიწყდა – **„თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“** – გინდ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ან აკადემიკოსი იყავი, ჩირად არ ღირხარ...

სიტყვა – **„კაცი“** ილიასთვის უმაღლესი ღირებულებაა, სხვა ნებისმიერ სოციალურ იერარქიაზე აღმატებული. „კაცია-ადამიანს?!“ კითხვა-ძახილის ნიშანი ამიტომაც დაუსვა: თათქარიძეები და ჭრიაშვილები ადამიანები კი არიან, მაგრამ კაცები – არა!... ამასაც ხომ, წერს გულისტკივილით: **„ქართველების საქმე მაშინ წახდა, როცა სიტყვა – „კაცმა“ „კაცურის“ დამატებაც მოითხოვა“,** – მართლაცდა, „კაცს“ რაღა დამატება უნდა?!...

მკითხველს შევახსენებ (ოპონენტის იმედი აღარა მაქვს): აღნიშნულ წერილში „ილიალოგთა კლუბის“ სახელით გაზეთის მთელ გვერდზე გადმოვცემ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის ორ ათეულზე მეტ იდეასა და პოლიტიკურ პრინციპზე ჩემს თვალსაზრისს, მათ გადამწყვეტ მნიშვნელობას ახალი საქართველოსა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში. ვფიქრობდი, ყველაფერი ეს **„პირველი მოადგილის“** ინტერესის სფეროშიც მოხვდებოდა და პოლემიკის ობიექტად გადაიქცეოდა...

თქვენც არ მომიკვდეთ, ერთი სიტყვითაც არ შეხებია ამას, სამაგიეროდ, ლანძღვა-გინება რამდენიც გნებავთ: ესეც „არ ახალია“ – კაცს რომ სერიოზული ლაპარაკი არ შეუძლია, გინებას იწყებს, სხვა რა დარჩენია... სწორედ ამან დაღუპა ქვეყანაც, თუ სიმართლე გვინდა, და დღეს ჩვენი ამოცანაც ისაა, რომ თავიდან ავიცილოთ 90-იანი წლების სისხლიანი ტრაგედიები. ისტორია აქაც, „ჩვენი დიდი მასწავლებელია“... ამიტომ გახდა „ილიალოგთა კლუბის“ დევიზიც ეს: **„ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი!“...** ამაში ყველა დაგვეთანხმება, ვისაც ერი და ქვეყანა უყვარს და არა მხოლოდ საკუთარი თავი...

„ქართველს ქართველზე დიდი მტერი არც არასოდეს არა ჰყოლია“

ა.ნ. ი.ნ. ი.ნ.ა.ნ.ზ. ო.ს.ე.ბ. „ი.ლ.ი.ალ.ო.გ.ი.ა.ს. კ.ლ.უ.ბ.ი.ს.“ დ.ა.ფ.უ.ძ.ნ.ე.ბ.ე.ლ.ი. რ.ო.ბ.ერ. „ნ.ი.ნ.ა.ს.“ ყ.ვ.ე.ლ.ა.ზ.ე. გ.ა.მ.ო.ქ.ვ.ე.ყ.ნ.ე.ბ.ე.ლ.ი. ი.ლ.ი.ა.ს.ი. ა.ხ. შ.ა.ვ.ი. ს.ა.ბ.ო.ლ.ო.ო. ს.ი.ტ.ყ.ვ.ა.ს.ა. დ.ა.ბ.ა.ხ.ვ.ე.ბ.ი.ს. ფ.ა.ქ.ტ.ი.ს. ფ.ა.ნ.ტ.ა.ზ.ი.ა.ს.ა.ც. ფ.ა.ქ.ტ.ი.ს.ა.ც. ...



ეროვნული ერთობის ... **ილიას** ... **ილიალოგთა** ... **ილია** ... **ილიალოგ** ... **ილიალოგ** ... **ილია** ... **ილიალოგ** ... **ილიალოგ** ... **ილიალოგ

ურჩეზით გაზიდული საგანძური და მეორე ექვთიმე

საყოველთაოდ ცნობილია 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის გამო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძურის გადარჩენისა და დაბრუნების ისტორია, მაგრამ ცოტას თუ ახსოვს, რომ საქართველოდან არანაკლები ღირებულებისა და მნიშვნელობის საგანძური იქნა გატანილი რუსეთში, საიდანაც მხოლოდ ნაწილის დაბრუნება მოხერხდა, თანაც მოხერხდა ცალკეული ადამიანების უდიდესი ძალისხმევის ფასად.

მეორე ექვთიმე

შალვა ამირანაშვილი, რომლის სახელსაც ატარებს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, სულ რაღაც 24 წლის იყო, როცა თავის პედაგოგზე, ექვთიმე თაყაიშვილზე არანაკლები მამულიშვილობა გამოავლინა.

1923 წელს, რუსეთში ყოფნისას, სწორედ შალვა ამირანაშვილმა და იური მარმა (ნიკო მარის შვილმა) შეადგინეს სია იმ ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში ინახებოდა და, რომელთა დიდი ნაწილი დღეს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებს ამშვენებს.

საქმე ისაა, რომ ერთი წლით ადრე, 1922 წლის 20 ივნისს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას უბრუნებდნენ სამუზეუმო და საარქივო კოლექციებს, რომლებიც დადგენილების ტექსტის მიხედვით **„წამოღებული იყო მეფის მთავრობის მიერ და ინახებოდა რუსეთის საცავებში“.**

შალვა ამირანაშვილი თავისი მივლინების შესახებ 1968 წელს დაწერილ სტატიაში იხსენებს რუსეთის განათლების სახალხო კომისრის მოადგილის, პროფესორ პოკროვსკის სიტყვებს:

„მეფის ხელისუფლება ავიწროებდა საქართველოს, ითვისებდა და იტაცებდა ერის კულტურის განძს, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა და განამტკიცოს რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა“.

იური მარი

თუმცა, ამგვარი გულისმოსაგები და გაცხადებული ხელგაშლილობის მიუხედავად, ახალგაზრდა მეცნიერს ნამდვილი ბრძოლების გადატანა მოუხდა საქართველოდან გატაცებული ყოველი ნივთის მოძიებისა და დაბრუნებისთვის.

„მოსკოვში მუშაობის დროს განსაკუთრებით მაინტერესებდა მიხაილ ბოტკინის კოლექციის ბედი. კოლექცია შედგებოდა ქართული მინანქრების ბრწყინვალე ნიმუშებისგან, რომელთა დიდი ნაწილი მოტაცებული იყო საქართველოს საგანძურიდან: გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან“, — იხსენებდა წლების შემდეგ შალვა ამირანაშვილი, — **„აღმოჩნდა, რომ ბოტკინის კოლექცია მთლიანად იყო ჩამორთმეული მთავრობის მიერ და ინახებოდა სახელმწიფო საგანძურში. მე დაუყოვნებლივ მივმართე ამ დაწესებულების დირექტორს, რომელმაც მაცნობა, რომ მხოლოდ 5 წლის შემდეგ შეუძლია მოგვცეს გარკვეული პასუხი — ინახება თუ არა მათ საგანძურში ბოტკინის კოლექცია“.**

ეს უარის ტოლფასი პასუხი იყო...

ამხანაგ სოსოს ზარი

შალვა ამირანაშვილი იხსენებს, რომ სასოწარკვეთილს კრემლთან შემთხვევით შეხვდა ალიოშა სვანიძე, რომელთანაც სტუდენტობის დროინდელი კარგი ნაცნობობა აკავშირებდა. ბედად, სვანიძე მარტო არ იყო, თან ახლდა სტალინი და აბელ ენუქიძე.

იოსებ სტალინი

„თავაზიანად გააცნო ჩემი საქმიანობა სტალინს და მკითხა, როგორ მიმდინარეობდა კოლექციების მიღების საქმე. მე დაწვრილებით მოვახსენე საქმის ვითარება და კერძოდ შევჩერდი იმ დაბრკოლებაზე, რომელიც აფერხებდა ბოტკინის კოლექციების მიღების საქმეს. სვანიძემ მაშინვე მიმართა სტალინს: ამხანაგო სოსო, გთხოვთ, დაეხმაროთ ამ ახალგაზრდას. სტალინმა უბის წიგნაკი ამოიღო, თავისი ტელეფონის ნომერი ჩაწერა, ფურცელი გადმომცა და მითხრა: ხვალ დილის 11 საათზე დამირეკეთ და მაცნობეთ საქმის ვითარება“.

სტალინის ჩარევის შემდეგ (სატელეფონო საუბარი „დაწესებულების“ ჭირვეულ ხელმძღვანელთან) აჩვენეს კოლექცია და გაირკვა, რომ ქართული მინანქრების კოლექცია მთლიანია:

„კოლექციაში აღმოჩნდა გელათიდან წაღებული ღვთისმშობლის ხატი მინანქრისა, რომელიც ერთ დროს ამშვენებდა ხახულის ხატის ცენტრალურ ნაწილს; იქ იყო აგრეთვე ჯუმათისა და შემოქმედის ტაძრების მინანქრის ხატები, ჯვრები და სხვა განძეულობა“.

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შალვა ამირანაშვილმა ეს განძეულობა საქართველოში ჩამოიტანა და ახლა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს სამუზეუმო განძეულობის დიდი ნაწილი რუსეთში აღმოჩნდა.

„ქართული საეკლესიო საგანძურის გატანამ განსაკუთრებულად ორგანიზებული სახე მიიღო 1811 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. სხვადასხვა შეფასებით გატანილი იქნა 150 მლნ რუბლის ფასეულობა. გაძარცვული ეკლესიების უმეტესობა დაიხურა, დანარჩენში კი სლავურად აღევლინებოდა წირვა-ლოცვა. ამგვარმა პოლიტიკამ 1818-1819 წლებში დასავლეთ საქართველოში აჯანყებაც კი გამოწვია“...

შალვა ამირანაშვილმა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმში ასევე


შალვა ამირანაშვილი და გიორგი ჯავახიშვილი

მიაკვლია საფარის ეკლესიის კანკელის (XI ს) ფილებს, შემკულს რელიეფური ქანდაკებებითა და ჩუქურთმებით, რომლებიც რუსეთში ჩაიტანა ცნობილმა არქეოლოგმა პრასკოვია უვაროვამ. იქვე იყო ფრაგმენტი წებელდის კანკელისა და ბედიის ქანდაკებათა ნიმუშები. შალვა ამირანაშვილის ძალისხმევით (რაშიც მეცნიერულ კამათში გამარჯვებაც იგულისხმება) საფარის კანკელის, წებელდისა და ბედიის ტაძრის ქანდაკებანი საქართველოში დაბრუნდა.

არქივი — საჭურჭლე, გოდორი, დავთარხანა

საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის ძველი აქტების განყოფილებაში დაცულია 900-მდე ქართული ხელნაწერი წიგნი და 26 ათასამდე საბუთი, ხოლო ხელნაწერთა ცენტრში — 10 ათასამდე ხელნაწერი წიგნი და 37 ათასამდე საბუთი V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე.

საქართველოს არქივები ისევე მრავალსაუკუნოვანია, როგორც ქართული დამწერლობა და წერილობითი ძეგლები. ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწიეს მატერიალური კულტურის ძეგლებზე წარწერებისა და პალიმფსესტების სახით, XI საუკუნიდან კი უკვე მოგვეპოვება ქაღალდზე ნაწერი წიგნები და საბუთები: ცურტაველის „წმინდა შუშანიკის წამება“, რომელიც XI საუკუნეშია გადაწერილი... სასულიერო ხასიათის ხელნაწერები: ადიშის ოთხთავი (897 წ), ჯრუჭის ოთხთავი (936 წ), ალავერდის ოთხთავი (1054 წ), მამათა ცხოვრება (XII). საერო ხასიათის ძეგლებიდან ხელნაწერები: „ქართლის ცხოვრება“ (XV-XVIII), ვეფხისტყაოსანი (XVII-XVIII), რუსუდანიანი (XVII), როსტომიანი (XVII), ყარამანიანი (XVIII), ვახტანგ VI კანონები, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და „მოგზაურობა ევროპაში“ (XVII). აქვეა იურიდიული ხასიათის სიგელ-გუჯრები, მათ შორის ბაგრატ IV-ის სიგელი მიჯნაძორელი მამებისადმი (XI), დავით აღმაშენებლის ანდერძი (XII), თამარ მეფის სიგელი გელათის მონასტრისადმი (1189 წ), ხელმწიფის კარის გარიგება (XIV) და ა.შ.

საქართველოში საარქივო საქმის განვითარებაზე მეტყველებს ისიც, რომ, სპეციალისტების თქმით, ძირძველი ქართული სიტყვა „საჭურჭლე“ ესადაგებოდა საქართველოს გვიანდელ დროში დამკვიდრებულ უცხო ტერმინ „არქივს“, ხოლო „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ ზარდახანის საბუთსაცავს, სადაც ინახებოდა ოფიციალური დოკუმენტები, „გოდორი“ რქმევია, არქივისტს კი — „მეგოდრე“.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, XIII საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის დროს საქართველოში სახელმწიფო დავთარხანა ყოფილა, რომელშიც ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები ინახებოდა.

ვინ რა წარიღო...

საქართველოს სამეფო არქივები არაერთი ისტორიული უბედურების მომსწრეა. ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, უხეში გათვლებითაც კი, შემორჩენილია წერილობითი საგანძურის მხოლოდ 5-10%. ასევე მრავლისმეტყველია ქართული ხელნაწერების გაფანტვის გეოგრაფია, რომელიც თითქმის მთელ დედამიწას მოიცავს.

„პირველი ცნობა საქართველოდან ქართული ხელნაწერების გატანის შესახებ გვხდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, საიდანაც ვიგებთ, რომ თემურ ლენგმა ორი ურემი ხელნაწერი გაიტანა“.

უძველეს ხელნაწერთა ეროვნული არქივი
Alia Saganeidze (RFE/RL)

„მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგთემურმა, რაიცა საღრმთო ანუ სხვანი წერილნი წარიღო საქართველოდამ თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქვიტკირისა დიდი სახლი და რკინისა ფანჯარანი და კარნი შეასხა, და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნნი და დასდო წყევა, რომელ არავინ განიღოს მუნიდგან იგი წერილნი, და არც აწცა ისევ ისე

დაკრძალული“, — ვკითხულობთ იოანე ბატონიშვილთან, რომლის ამ ნათქვამს, ბონდო კუპატაძის თქმით, ისტორიკოსები სკეპტიკურად უყურებდნენ, თუმცა, მისივე თქმით, ცნობილი ირანისტი დევი კაციტაძე ყვებოდა, რომ ავღანეთში ინტერვენციის დროს თითქოსდა საბჭოთა ოფიცრებს ჰერათის ერთ-ერთ მეჩეთში უნახავთ ქართული ხელნაწერები...

საქართველო ასევე პირწმინდად გაიძარცვა შაჰ-აბას I-ის ცნობილი ლაშქრობის (1616 წ.) დროსაც. ბონდო კუპატაძის თქმით, იმდენად მასშტაბური და დაუნდობელი იყო მომხვდური, რომ ხალხმა გარეჯის გაუდაბურებაც კი ამ შემოსევას დაუკავშირა, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეესაბამება.

„მაშინაც დიდი რაოდენობით ხელნაწერი და საეკლესიო საგანძური იქნა გატანილი. ძირითადად ეს ხელნაწერები იყო სახარების ტექსტები, მაგრამ იყო სხვა ტიპის ტექსტებიც. ყველა ხელნაწერი იყო მდიდრულად შემკული ძვირფასი თვლებით, მოჭედილი ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით“, — ამბობს ბონდო კუპატაძე.

საქართველოს საეკლესიო საგანძურისა და ხელნაწერების ნაწილი გაიტანეს ევროპელმა მისიონერებმა და მოგზაურებმა, საგანძურის ნაწილი რუსეთში გაიყოლა ვახტანგ VI-მ და მისმა ამალამ, თუმცა, როგორც ბონდო კუპატაძე ამბობს, ყოველივე ეს ახლოსაც კი ვერ მივა იმასთან, რაც XIX საუკუნეში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დაიწყო.

ᲣᲠᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲘᲓᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ქართველ ისტორიკოსს თედო ჟორდანიას 1884 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ (ცარიელ) ფურცელზე ჩაუწერია:

„მცხეთის დეკანოზმა მიამბო მე, თედო ჟორდანიას: 1882 წელს რომ მცხეთაში გაუგზავნიათ ვითომ ნამესტნიკის ბრძანებით ყაზახები და ყაზახის აფიცრები. მოუთხოვნიათ საარქეოლოგიო ნივთები ახლად გახსნილი ტფილისის მუზეუმისთვის. დეკანოზს მოუთხოვია, რომ სიით წაელო, მაშინ ყაზახის აფიცერმა შეუტია თურმე და მათრახი მოუქნია, როგორ უბედავ ნამესტნიკს ხელწერილის ჩამორთმევასო... დეკანოზს დაუნებებია: ორი ურემი წიგნები, უმეტესი ტყავისა, ხატები, კვერთხები, თვალ-მარგალიტი. დეკანოზის ნათქვამი დაამტკიცა მიხეილ საბინინმა, რომელსაც თვით ენახა ეს ამბავი, საქვეყნოთ წარმოსთქვა მან ესე საეკლესიოდ მუზეუმში ჩვენთან მრავალჯერ... ეს ნივთები ახლა ყველა გამქრალა და არ მოიპოვება რა. თურმე რადეს გაუყიდნია. საბინინს უნახავს ბრილიანტის ჯვარი ქართული წარწერით ლაიპციგის მუზეუმში, მიუნხენში. პარიზისა და ვენის მუზეუმებშიც. ბევრი ნივთი უნახავს, რაც თბილისის მუზეუმში ყოფილა წინეთ შენახული. ქართული წიგნები უმეტესად გაყიდულია შვეიცარიაში, ინგლისში, ლონდონში და პარიზში. პარიზის სამეფო მუზეუმში უნახავს ნიქოზის ეკლესიის კუთვნილი ოქროთი ნაწერი ძველი წირვა წმინდის იაკობის“.

ᲗᲔᲓᲝ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ

ცხადია, ამ ორი ურმით არც დაწყებულა საქართველოს ძარცვა და არც დასრულებულა. ნიკოლოზ დურნოვო (1876-1936) იმ თავის ცნობილ ნაშრომში „ქართული ეკლესიის ბედი“ თვალსაჩინოდ აღწერს, როგორ მიზანმიმართულად იძარცვებოდა და შემდეგ იხურებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები რუსი ეგზარქოსების ხელში:

„1811 წლიდან დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია...ამას ემატება ქართული მონასტრებისა და სალოცავების ძარცვა. ნაძარცვი ათეულობით მილიონ მანეთს შეადგენს. ხაზინამ წაიღო 150 მილიონ მანეთად ღირებული ქართული საეკლესიო ქონება... გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა მილიონებად ღირებული განძეულობა; მათ შორის იყო: 1) ოქროთი მოჭედილი, ტიხრული მინანქრით გაწყობილი XI საუკუნის უძველესი ქართული სახარება, რომელიც ეგზარქოს ევსევის ნებართვით გელათიდან გაიტანა ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშევმა, რომელმაც მოხსნა ოქროს მოჭედილობა და იგი შეცვალა საზიკოვის იაფფასიანი ვერცხლის ნახელავით. ამჟამად ეს ძვირფასი ოქროს მჭედლობა ინახება პეტერბურგში, სტროგანოვის მუზეუმში, სადაც იგი გრაფ პანინის მიერ იქნა ჩატანილი. ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში იძლეოდნენ ასი ათას ფუნტ სტერლინგს. 2) ოქრომკედით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოსების შესამოსელი... ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული. მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად... განძეულის დატაცებასა და შეცვლაში ადანაშაულებდნენ გრაფ პანინსა და გენერალ ლევაშევს, რომლებმაც ნებართვა ეგზარქოს ევსევისგან აიღეს. ...ზუსტად ასევე გაქრა აურაცხელი ძვირფასეულობა: ოქროს ჭურჭელი, ჯვრები და სხვა განძეული მცხეთის, ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის და სხვა საკათედრო ტაძრებიდან. ამათ მიჰყვა განძეულობა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოდან, ჯუმათის, შემოქმედისა და სხვა მონასტრებიდან...“

ბონდო კუპატაძის თქმით, კერძო კოლექციონერები (ზვენიგოროდსკი, ბოტკინი და სხვები) იაფად ყიდულობდნენ რუსი მღვდლებისგან ქართულ საეკლესიო საგანძურს (ჯუმათის მონასტრის ძარცვის ისტორია), რომელშიც შედიოდა ყველა სახის ნივთი, მათ შორის ხელნაწერებიც.

„ის, რაც ახლა ევროპისა და მსოფლიოს სხვა მუზეუმებშია დაცული, ძირითადად რუსი კოლექციონერების მიერ არის საქართველოდან გატანილი და გაყიდული“, — ამბობს ბონდო კუპატაძე, — „რუსეთის სახელმწიფო მუზეუმებიც ცდილობდნენ მათ ხელში ჩაგდებას, თუმცა კოლექციონერები ევროპაში გატანით მეტ სარგებელს ნახულობდნენ“.

საქართველოს საეკლესიო საგანძურის გადინების შეჩერება მხოლოდ პირველმა რესპუბლიკამ შეძლო. 1920 წლის 28 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა დეკრეტი საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის თაობაზე. ამ დეკრეტის მეორე პუნქტით, რესპუბლიკის განათლების მინისტრის ნებართვის გარეშე იკრძალებოდა, გაეტანათ შემდეგი ნივთები: ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და სამკაული, ხატი, ჯვარი, ჭურჭელი, შესამოსელი, ნაკერ-ნაქარგი ნივთები, ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნები, სიგელ- გუჯარნი, ქანდაკებანი, ჩუქურთმიანი ქვები და სხვა ჩუქურთმიანი ნივთები.

საქართველომ 2006 წელსაც სცადა რუსეთიდან სამუზეუმო განძეულობის დაბრუნება, როცა ისეთი კანონის მიღებაზე დაიწყო მსჯელობა, რომელიც უკანონოდ გამოაცხადებდა 1801 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოში წარმოებულ რელიგიურ პოლიტიკას და, რომელიც რუსეთში გატანილი საეკლესიო საგანძურის უკან დაბრუნების შესაძლებლობას შექმნიდა, თუმცა, როგორც კანონპროექტის ავტორმა მანანა ჯეგბაშვილმა უთხრა „რადიო თავისუფლებას“, დეპუტატებმა ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. ქართული სამუზეუმო საგანძურის ამგვარი გზით დაბრუნება შეუძლებლად მიაჩნიათ ისტორიკოსებსაც. ბონდო კუპატაძის თქმით, ბევრი სხვა გარემოების გარდა, მუშაობს ე.წ. სამუზეუმო ფსიქოლოგიაც: არა აქვს მნიშვნელობა რა გზით მოხვდა ნივთი მუზეუმში, თუ მოხვდა, უკვე მუზეუმის საკუთრებად მიაჩნიათ!

„დამალვასაც არ თაკილობენ. გიორგი XII-ის ნივთები ერმიტაჟმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოაჩინა“, — უთხრა ბონდო კუპატაძემ „რადიო თავისუფლებას“.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲔᲡ!..



ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲘᲡ — „ᲢᲝ�პᲝᲚᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ

ᲒᲐᲡᲣᲚ საუკუნეში, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შორის, მოგეხსენებათ, ნამდვილი „რბოლა“ მიმდინარეობდა ბირთვული შეიარაღების მხრივ. დღეის მდგომარეობით, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ აშშ-ს უფრო დიდი ბირთვული შეიარაღება აქვს, ვიდრე რუსეთს, თუმცა, ამერიკელი სამხედრო ექსპერტები აღიარებენ, რომ სამხედრო-სარაკეტო კომპლექსი „ტოპოლი“ ნამდვილი საოცრებაა და მას ანალოგი არ გააჩნია. „ტოპოლი“ (და არა მხოლოდ ეს კომპლექსი, თუმცა, ამაზე მოგვიანებით) კი ქართველმა შექმნა — გენერალ-პოლკოვნიკმა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ.

ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძე 1914 წლის 20 აგვისტოს გორში დაიბადა. ბავშვობიდანვე კონსტრუქტორობისადმი ჰქონდა მიდრეკილება. 1932 წელს მუშაობა დაიწყო თბილისში „ოსოავიაქიმიის“ ავიასამოდელო ლაბორატორიაში, სადაც თავიდანვე გამოაჩინა ნიჭი საფრენოსნო აპარატების დარგში. 1936 წლამდე სწავლობდა ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, შემდეგ კი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავთმშენებლობის ფაკულტეტი დაამთავრა 1940 წელს. ამ დროისათვის, ის უკვე მუშაობდა ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში, ჯერ — ინჟინრად, შემდეგ — ჯგუფის ხელმძღვანელად. მის მიერ საჰაერო ბალიშის პრინციპზე შემუშავებული აფრენისა და დაშვების მოწყობილობა გამოიყენეს „УТ-2Н“ტიპის თვითმფრინავებზე.

1941 წელს ნადირაძე დანიშნეს მოსკოვის გორბუნოვის სახელობის 22-ე ქარხნის მთავარ კონსტრუქტორად. ომის წლებში, მან ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის ხუთი სახეობა გამოიგონა. 1945 წელს მოსკოვის მექანიკური ინსტიტუტის რეაქტიული იარაღის ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილ საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორად გადაიყვანეს. 1948 წელს კი — ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვებისა და არამართვადი ზენიტური რაკეტების შემუშავების განყოფილების უფროსად.

ალექსანდრე ნადირაძის სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულება იყო საფრენი აპარატების მექანიკა. მან შემიმუშავა საფრენი აპარატების რთული სისტემების აგების პრინციპები. მასვე ეკუთვნის მსოფლიოში პირველი მეტეოროლოგიური კვლევითი რაკეტა „МП-1“-ის გამოგონება.

ალექსანდრე ნადირაძის შექმნილი რადიომართვადი ბომბ „УБ-2Ф“-ით აღჭურვილი საავიაციო კომპლექსი „Чаика“ 1955 წელს მიიღეს შეიარაღებაში.

შემდეგ მან გაიმარჯვა კონკურსში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შექმნის საუკეთესო პროექტის შექმნაზე.

1958 წელს ნადირაძე დაინიშნა პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორად.

1965 წელს ორგანიზაციას სახელწოდება შეუცვალეს და მას მოსკოვის სითბოტექნიკის ინსტიტუტი ეწოდა. ქართველი გამომგონებელი ამ ინსტიტუტის შეუცვლელი ხელმძღვანელი იყო 26 წლის განმავლობაში.

1966 წელს მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა მოძრავი საგრუნტო კომპლექსისათვის („Темп“-20). 1971 წელს ნადირაძემ კომპლექს „პიონერ“-ზე დაიწყო მუშაობა. 1976 წელს სარაკეტო კომპლექსი შეიარაღებაში მიიღეს. ეს „სარაკეტო-ბირთვული ფარი“ იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ნამდვილი სიამაყე იყო.

ვაშინგტონის ავიაციისა და კოსმონავტიკის მუზეუმში „Пионер“-ის ერთ-ერთი ეგზემპლარი დღემდე მთავარ ექსპონატად ინახება.

ნადირაძე იყო სამხედრო-ტექნიკური საოცრება „Тополь“-ის ავტორი.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ნადირაძის შექმნილ რაკეტებს საკონტროლო გამოცდების ჩაბარების სასწავლო-საბრძოლო გაშვების 30-წლიანი პრაქტიკის განმავლობაში არ ჰქონია არც ერთი წარუმატებელი ცდა (დღევანდელი რუსული სამხედრო ტექნიკისაგან განსხვავებით). გარდა ამისა, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მყარ საწვავზე მართვადი რაკეტები შემდეგი სისტემებისათვის: „ვოსხოდი“, „სოიუზი“, „კოსმოსი“, „სოიუზ-აპოლონი“, „პროგრესი“.

გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ნადირაძის ჯილდოების სია საკმაოდ ვრცელია. მხოლოდ წოდებებს და ხარისხს ჩამოგითვლით: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1972), დამსახურებული გამომგონებელი (1973), საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1981).

1984 წელს, ის „თბილისობაზე“ ჩამოვიდა და „საპატიო თბილისელად“ აირჩიეს. სულ სამჯერ ყოფილა საქართველოში: დედისა და მამის დაკრძალვაზე, ბოლო ვიზიტის დროს კუკიაზე მშობლების საფლავი მოინახულა. შემდეგ გორში წაყვანა ითხოვა და ფეხდაფეხ მოიარა საყვარელი ადგილები. გზადაგზა ბავშვობისდროინდელ თავგადასავლებს იგონებდა, თითქოს ეთხოვებოდა მონატრებულ სამშობლოს.

ალექსანდრე ნადირაძე 1987 წლის 3 სექტემბერს უეცრად, გულის შეტევით გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად კოსმონავტიკის ფედერაციისა და მოსკოვის სითბოტექნიკის ინსტიტუტის მიერ დაწესებულია აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძის სახელობის მედალი.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲩᲝᲑᲐᲜᲘᲫᲔ

რა კავშირი აქვთ „ქურდების“ მკვლელობას, ხაჯიმბას გადადგომას, არძინბას სახლის დაცხრილვასა და პატიმრების უცნაურ გაქცევებს!..

კრიმინალურ სერიალს გაგრძელება ექნება

ოკუპირებული აფხაზეთის ახალი დე ფაქტო ხელისუფლება კორონავირუსის ეპიდემიის, მის ფონზე ისედაც ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებისა და მთელ რიგ სხვა გამოწვევებთან ერთად, კრიმინოგენური ვითარების გამწვავების პრობლემის წინაშეც აღმოჩნდა. ამ კუთხით ბოლო დღეებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენები დღეს ერთმანეთის მიყოლებით ორი პატიმრის ფრიად უცნაური გაქცევით დაგვირგვინდა. და ეს, დიდი ალბათობით, დასასრული არ არის.

დავიწყოთ ბოლოდან – პატიმრების გაქცევით. პირველი მათგანი სოხუმის ე.წ. რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილებიდან გაექცათ. დე ფაქტო შსს-ს ინფორმაციით, მსჯავრდებულმა ხელბორკილებისგან გათავისუფლება მოახერხა და საწოლის თეთრეულის გამოყენებით მესამე სართულის ფანჯრიდან დაეშვა. სოფელ თავისუფლების მკვიდრს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის მუხლით აქვს წაყენებული. 5 მარტს იგი სასამართლოში იყო დაბარებული, თუმცა არ გამოცხადებულა, რის შემდეგაც 15 მაისს დააკავეს. რატომ დასჭირდა დაკავებულს სოხუმის კლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში გადაყვანა – დე ფაქტო შსს არ აკონკრეტებს.

კიდევ უფრო საინტერესოა გაქვეული მეორე პირის ისტორია. როგორც რიგი ადგილობრივი მედიასაშუალებები წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, პატიმარი, რომელიც 29 მაისს პირველი დე ფაქტო პრეზიდენტის – ვლადისლავ არძინბას სახლის დაცხრილვაშია ეჭვმიტანილი, უბრალოდ „საავადმყოფოს კარიდან გავიდა“ და გაქცევისთვის დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია.

თავად შეიარაღებული ინციდენტი 29 მაისს სოფელ ქვემო ეშერაში მოხდა, სადაც არძინბების საგვარეულო სახლი მდებარეობს. მისი დაცხრილვის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა თავად ფაქტმა, გასაგები მიზეზების გამო, ფართო რეზონანსი გამოიწვია.

არძინბას სახლის დაცხრილვას წინ უსწრებდა იმავე დღეს – 29 მაისს მომხდარი კიდევ ერთი რეზონანსული ფაქტი – სოხუმში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ბინაში ერიკ ჭკადუას დაკავება. იგი ერთ-ერთია და უკანასკნელი იმ ოთხი პირიდან (დავით და თემურ ახალაიები 2019 წლის დეკემბერშივე დააკავეს, ხოლო ბესლან ბგანბა – 2020 წლის იანვარში), რომლებიც კიდევ ერთი გახმაურებული კრიმინალური ინციდენტის – გასული წლის დეკემბერში სოხუმის სანაპიროზე მდებარე რესტორან „სან-რემოში“ ორი „კრიმინალური ავტორიტეტის“ – ასტამურ შამბას და ალხას ავიძბას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს. იმ ინციდენტს 22 წლის ოფიციანტი ქალი – დომენიკა აკირთავაც შეეწირა, რომელიც რამდენიმე დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა, ჩამოთვლილ მოვლენებს ერთმანეთთან პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქვს. მართალია, ვლადისლავ არძინბას საცხოვრებელი სახლის დაცხრილვის ინციდენტი აფხაზურ მედიაში ფართოდ არ გაშუქებულა, მაგრამ პატარა რეგიონში ამბები ისედაც სწრაფად ვრცელდება და როდესაც დე ფაქტო შს მინისტრმა დიმიტრი დბარმა საზოგადოებას კონკრეტული გვარების ხსენების გარეშე მიმართა მოწოდებით, „ვითარების მადესტაბილიზებელი ქმედებებისგან თავი შეიკავონ და გამოძიებას ხელი არ შეუშალონ“, ყველა მიხვდა, ვის და რას გულისხმობდა „მინისტრი“.

„ერთ-ერთი იმ პირთაგან, რომლებიც პირველი პრეზიდენტის სახლის მიმართულებით ცეცხლის გახსნაში არიან ეჭვმიტანილები, დაკავებულია. თუმცა თვითმხილველები გამოძიებასთან არ თანამშრომლობენ და ამით ჭეშმარიტების დადგენას ხელს უშლიან. რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების პირად შემადგენლობაში მობილიზაციაა გამოცხადებული, ვითარება სახელმწიფოში კონტროლს ექვემდებარება და ყველა დამნაშავეს გარდაუვალი სასჯელი ელის. ჩვენ გვეყოფა ძალა და რესურსი, რომ კანონის აღსრულება უზრუნველვყოთ“, – განაცხადა მაშინ დე ფაქტო შს მინისტრმა.

მაგრამ გადის რამდენიმე დღე და დაკავებული პირი გარბის, თანაც განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე...

სხვა პირობებში ეს ან სასაცილო იქნებოდა, ან სატირალი, თუმცა აფხაზურ რეალობაში, თანაც იმ პირობებში, როცა საქმის ფიგურანტები ცნობილი გვარების წარმომადგენლები არიან, ეს მოვლენები თითქმის კანონზომიერებად გამოიყურება.

არაოფიციალური ინფორმაციით, რომელიც ბოლო დღეებში აქტიურად მუსირებს სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში, ერიკ ჭკადუა პირველი დე ფაქტო პრეზიდენტის ნათესავის – ქემალ არძინბას დედის ბინაში იმალებოდა, ვლადისლავ არძინბას სახლს კი ცეცხლი „სან-რემოში“ მოკლული „კრიმინალური ავტორიტეტების“ ნათესავებმა გაუხსნეს, რომლებიც მთელი ეს პერიოდი ქემალ არძინბას ეძებდნენ.

ამ ამბების სრული სურათის აღსაქმელად მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ „კრიმინალური ავტორიტეტების“ ხსენებული მკვლელობა ტრიგერად იქცა მიმდინარე წლის იანვრის ცნობილი პოლიტიკური მოვლენებისთვის, რომლებიც აწ უკვე ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტის – რაულ ხაჯიმბას გადადგომით დაგვირგვინდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ერთ-ერთი მოკლულის ბიძაშვილი – დონეცკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკაში საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ახრა ავიძბა ნათესავის მკვლელობის შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა და მკვლელებს თავად ეძებდა. მან შს იმჟამინდელი დე ფაქტო მინისტრი გარი არშბა დამნაშავეების მფარველობაში დაადანაშაულა და მისი გადაყენება მოითხოვა. ასეც მოხდა – არშბა გადადგა.

თუმცა ახრა ავიძბა ამით არ დაკმაყოფილდა: მან „კრიმინალური ავტორიტეტების“ მკვლელობა დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას დაუკავშირა და მისი რეჟიმი „მკვლელების გაშვებაში“ დაადანაშაულა, თან განმარტა, „ეს მკვლელები ხაჯიმბას ხელისუფლების საყრდენი ძალაა“. იანვრის მოვლენების, კერძოდ დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის შტურმის დროს კი ახრა ავიძბამ ერთ-ერთი წამყვანი როლი შეასრულა და მიაღწია კიდეც საწადელს – ხაჯიმბა გადადგა. ერთი სიტყვით, დიდი პოლიტიკურ-კრიმინალური ამბები პატარა ოკუპირებულ აფხაზეთში გრძელდება და უახლოეს ხანებში, მაღალი ალბათობით, ამ სერიალის გაგრძელება გველის.

„აქცენტი“

SPECTATOR: საქართველო ცდილობს ნატოში განევრებას, რათა უსაფრთხო დისტანციაზე ჰყავდეს „რუსი დათვი“

(მეხუთე გვერდიდან)

ატყდა სიმღერა და ცეკვა-თამაში, რაც მოგვიანებით უეჭველად აისახებოდა ჩემს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, ასევე იყო უთვალავი კერძი, რომლებსაც ცეცხლივით წითელ ღვინოს ვაყოლებდით. ისევე, როგორც (ქართული) კულტურა მთლიანობაში, ადგილობრივი სამზარეულოც წარმოადგენს რუსულისა და თურქულის კომბინაციას. ხემსი იმხელა ჯამით მოგვართვეს, რომ მთავარი კერძი მეგონა. და როცა მთავარი კერძი შემოაბრძანეს, მე უკვე საკმაოდ დანაყრებული გახლდით.

ფიცროი მაკლინი (როგორც ამბობენ, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის პროტოტიპი) ბევრჯერ ყოფილა თბილისში. „ქალაქმა უმალ მომნუსხა, – წერდა იგი, – ეს სახლები, გიჟმაჟური სტრუქტურები წინ გამოშვერილი, ფერდობის გვერდზე მერცხლის ბუდესავით დაკიდებული ვერანდებით. ქვევით მთის ნაკადი თქარუნით მიექანება. შორს ფერდობზე კი ისევ სახლები მოჩანს“. შეიძლება ვცდები (და, ალბათ, ვცდები კიდეც), მაგრამ რატომღაც მგონია, რომ მაკლინი სწორედ იმ რესტორანს აღწერს, მე რომ ვისადილე წუხელ.

გავჩერდი „თბილისი მარიოტში“, რაც ჩემში თავიდან დიდ აღფრთოვანებას არ იწვევდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს იყო საუკეთესო „მარიოტი“, სადაც ოდესმე გამიტარებია ღამე – თითქოს „ოქროს ხანიდან“ გადმოტანილი, სასახლესავით დიდებული მარგალიტი თბილისის ყველაზე ფეშენებელურ ქუჩაზე – რუსთაველის გამზირზე, აშენებული რუსეთში მონარქიის დაისის პერიოდში. ასეთი ქარიშხლიანი ისტორიის მქონე ქალაქში ყველა შენობა თავის ისტორიას გვიყვება. გზის გაყოლებაზე მდებარე „ბილტმორი“ კიდევ უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე „მარიოტი“. ნეოკლასიკურ სტილში გადაწყვეტილი თაღიანი პორტიკის თავზე შეამჩნევთ საბჭოთა პერიოდის ფრიზებს ბედნიერ მშრომელთა გამოსახულებებით, რომლებიც პარტიის კეთილდღეობისთვის იღვწიან.

მეორე დილით ვეწვიე ეროვნულ მუზეუმს, რათა თვალი გადამევლო საქართველოს რთული ისტორიისთვის. სწორედ აქ ჩამოსულან იასონი და არგონავტები ოქროს საწმისის საპოვნელად. ყოველთვის მეგონა, რომ ოქროს საწმისი ოდენ მითი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველები მას იყენებდნენ ოქროს მოსაპოვებლად.

„კავკასიონის მთებიდან მოედინება ბევრი მდინარე. ამ მდინარეების წყალი კი შეიცავს უხილავ ოქროს მტვერს, - წერდა აპიანე ალექსანდრიელი ჩვ.წ.აღ. მე-2 საუკუნეში, – ადგილობრივები ამ მდინარეებში ავლებენ საწმისს და ასე აგროვებენ მოტივტივე ნაწილაკებს“. საქართველოს თანამედროვე ისტორია შემაძრწუნებელი მოვლენებით არის აღსავსე: პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართველი დისიდენტების ამოჟლეტა სტალინის მიერ, რომელიც, – ო, ირონია! – თავად ქართველი იყო. 1920-იან და 1940-იან წლებს შორის დახვრიტეს 70 000 ქართველი და გადაასახლეს 200 000.

„ქართველი მხატვრები და წითელი ტერორი“ – ამ გამოფენაში ერთმანეთის გვერდით განთავსებულია დისიდენტი მხატვრების ნაშრომები და მათ წინააღმდეგ რეპრესიების ამსახველი დეტალები. შრომით ბანაკებში (საიდანაც ადამიანები აღარ ბრუნდებოდნენ) გადაყვანილი „მოღალატეების“ შვილები კი სახელმწიფოს მეურვეობაში გადადიოდნენ. „მათი იზოლირება გარდაუვალი იყო, – აცხადებდა სტალინისტი დიპლომატი ვიაჩესლავ მოლოტოვი, – ისინი ხომ ჯოჯოხეთს დაატრიალებდნენ საჩივრების წერით“.

არის თუ არა საბჭოთა რეპრესიები მხოლოდ ისტორიის წიგნების მასალა? არ მგონია. „კგბ ისევ გითვალთვალებს“, – გვამცნობს წარწერა კედელზე. მლოცველებით და ხატებით დახუნძლულ მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც შევედი და სანთელიც დავანთე – კონკრეტულად არავისთვის. როგორც ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა მსოფლიოში, საქართველო ცნობილია თავისი ეკლესიებით. თბილისის ცენტრშიც კი, სადაც ამერიკული კულტურის შემოჭრა აშკარად იგრძნობა, ეს დახვეწილი მარადიული მონუმენტები დღესაც ინარჩუნებენ მისტიკურ ელფერს.

გახდება თუ არა საქართველო დასავლური სახელმწიფო, როგორც ეს მას ყოველთვის ეწადა, თუ მას პუტინი შთანთქავს? შეინარჩუნებს თუ არა თბილისი იმ სამხრეთულ მომხიბვლელობას, იმ სიმსუბუქეს, ოდესაც ფიცროი მაკლინი – შოტლანდიელი საიდუმლო აგენტი რომ მონუსხა?

სტუმრობის დროს გაკეთებული ჩანაწერების გადაკითხვისას შევნიშნე ციტატა, რომელიც, ჩემი აზრით, აჯამებს საქართველოს პოზიციას: „რა შეგვიძლია შევთავაზოთ ევროპულ სახელმწიფოებს? ჩვენი 2 000-წლიანი ეროვნული კულტურა, დემოკრატიული სისტემა და მდიდარი ბუნება. რუსეთმა შემოგვთავაზა სამხედრო მოკავშირეობა, რომელზეც ჩვენ უარი განვუცხადეთ. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ. ისინი აღმოსავლეთისკენ მიიწევენ, ჩვენ კი მზერა დასავლეთისკენ გვაქვს“.

თავიდან მეგონა, რომ ეს სიტყვები ჩემთან საუბარში ერთ-ერთმა ქართველმა მინისტრმა წარმოთქვა, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ ეს სიტყვები მუზეუმში მქონდა წაკითხული. ეს არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის ნოე ჟორდანიას ციტატა. ეს სიტყვები მან 1921 წელს წარმოთქვა – სულ რამდენიმე კვირის შემდეგ წითელი არმია თბილისში შევიდა...

„იმედინიუსი“

„ქალი სუყოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

სტრიქონები კოკო შანელის დღიურებიდან

საკუთარ ცხოვრებაზე:

...აი, რა დავწერე ჩემი უბის წიგნაკის ბოლო გვერდზე. ჩემ გვერდით, ჩანს, იყო ისეთი ვინმე, ვინც გულს მიწყალებდა. თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ ვინიშნავდი რასმე... მერე ვიდექი და ვარჩევდი, რა დავწერე-მეთქი, ანდა ისეთს რას ვწერდი, ვის რად უნდოდა.

* * *

ვნების თაობაზე:

არტურ კეპელი, მეგობრები ბოის რომ ეძახდნენ, ჩემს ცხოვრებაში ძლიერად და უკვე სამუდამოდ შემოვიდა... იცით, რას ნიშნავს?.. ამდენი ხნის შემდეგ მარტოობა, რომლის აღიარებაც არ გინდა და ერთხელაც ხვდები, რომ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ძალიან გიყვარს, მამობის გაწევაც შეუძლია, აგრეთვე ძმობისაც! მზად ვიყავი სრული იდიოტი გავმხდარიყავი, ოღონდაც რომ გავიღვიძებდი, ყოველ დილით ის ჩემს გვერდით მეგრძნო. თუ ბოი იმ დროს მიმატოვებდა, ალბათ, სასოწარკვეთილი მოვკვდებოდი. მაგრამ, აგრე ის მერმე მოიქცა, როცა პრაქტიკულად უკვე ყოველგვარი დარტყმის გადატანა შემეძლო...

* * *

ადამიანების თაობაზე:

...საწყენია, მაგრამ სინამდვილეში ვერც ვერაფერს ვერა ვხედავდი, მუდმივად თვალებს ვხუჭავდი, რათა ერთ ქუჩად დამენახა ყოველივე. სათვალე საშინელებაა. პირდაპირ თავზარი დამცა, სათვალიანმა რაც დავინახე... ადამიანები იმდენად მახინჯნი არიან... ისეთი შეუხედავნი, არადა, უსათვალოდ ვერცრას ამას ვერა ვხედავდი...

* * *

ლოკომოტივები ადამიანები არიან, დროს ღამის კლუბებში რომ ატარებენ, სადაც არცროდის ფეხს არ ვადგამ, ხოლო რომელსამე საღამოს რომ ვესწრები, ადამიანები ამბობენ: „უყურე ერთი! მადმუაზელი თუ მოვიდოდა აქ, ძალიან კარგი იქნებოდა“. თუ არ მივედი, ამბობენ: „მაგან იცის, რა უნდა ქნას, ჩვენც ნეტავი შინ დავრჩენილიყავით. მაგრამ მე გულს არ ვაწყალებინებ. „თქვენ თვითმფრინავით წახვალთ, ამა და ამ სასტუმროში გაჩერდებით, ამასა და ამას იზამთ...“ მე თუ ეს არ მომწონს? – ვეუბნები ჟორჟს. – რატომ უნდა მოვიქცე ისე, როგორც თქვენ მირჩევთ, მითხარი, თუ კაცი ხარ? რათა ვისამოვნო ვაუბატონ პრემინჯერს, რომლისთვისაც მიმიფურთხებია?“ რაზეც კეთილმა ჟორჟმა მითხრა: „სუუ! სუუ!“

* * *

ერთ-ერთ ჰერცოგინიაზე:

...მაგან არცვის არცროდის არ გადაუხადა კაბის საფასური. ჩემთვის რომ ეთხოვა მაგას სამოსლის შეკერვა, ვეტყოდი: „კარგი, მაგრამ ერთი პირობით, რომ ამის თაობაზე არასოდეს არავის არაფერს არ ეტყვით“.

* * *

ერთ-ერთ მდიდარ კლიენტზე, რომელთანაც ძალიან მეგობრულად იყო:

„თუ გამყიდველს ფასის დაკლებასა სთხოვ, აღარასოდეს არ შეგიკერავ-მეთქი ტანსაცმელს“!

* * *

კიდევ უფრო არანაკლებ მდიდარ კლიენტზე:

...მაგას ჰგონია, გავჯავრდი, რაკი სამოსელს კურეჟთან ყიდულობს. ერთხელ ვუთხარი: „გოგონი, ერთ წელიწადში ჩემგან ოცდაათი კაბა იყიდე და თუ ამის მერმე არც ერთს აღარ იყიდი, ვითომ რამე დაკლდება შანელის სახლს? რაც უფრო მეტ კაბას იყიდი, მით უფრო მეტ ფულს კარგავ“.

* * *

ბრიჯის მოთამაშე ქალზე:

...როცა კი ვინმე შედის, თავს მაღლა წევს და ეკითხება: „თქვენ რა თქვით, წყვილი აგური?“ ყველაფერი იმით მთავრდება, რომ ის ჩეკს ხელს აწერს.

* * *

მეცნიერებზე:

...ესენი უანგარო ქმნილებანი არიან, საშინელ ჭადრაკის თამაშს თამაშობენ.

* * *

იმ ქალზე, რომელმაც ვალად ფული სთხოვა:

„ჩემო ძვირფასო, ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც უჩოგბურთოდ და ცხენების გაუჯირითებლად ცხოვრობს.

* * *

ერთ ნაცნობ ქალზე:

...მაგას სულ უწესრიგოდ აქვს სახლი, იმიტომ, რომ არცროდის არაფრის საფასურს არ იხდის.

* * *

შანელის მოგონებანი დაქალთან ერთად იტალიაში მოგზაურობაზე:

...ვიცოდი, რომ ის ახალგაზრდები პლაჟზე ჩვენს წაყვანას მოინდომებდნენ. ჩემი დაქალი მაღალი და ძლიერი იყო, მე კი პატარა და სუსტი... სულ ადვილად შეგვეძლო სასტუმროში მიბრუნება. დაქალმა მკითხა: „რას არჩევდი, სიკვდილს თუ დათმობას?“ მე მაინც სიკვდილს არ ვინდომებდი-მეთქი, მივუგე.

* * *

მოგონებანი ფლაგსტადზე:

...როცა ის გარდაიცვალა, არავინ მასზე არ ლაპარაკობდა, არადა, უდიდესი მომღერალი იყო. თავისი გზა ორმოცდახუთი წლისამ დაიწყო. ერთმა გერმანელმა უთხრა: მართლაც წარმტაცი ხმა გაქვთ, მე გასწავლით. ფრანგი ქალები აქედან იწყებენ ხოლმე...“

მან ხელები მუცელზე დაიკრიფა და ამღერდა. „სიმღერითაც ისე ლაღად უნდა იმღერო, როგორც რომ ლაპარაკობ, რათა ბგერა ბუნებრივი იყვეს, ყელიდან უნდა მორაკრაკებდეს“.

* * *

ერთმა მსახიობმა ქალმა კოკო შანელს ლონდონში წასვლა შესთავაზა, რათა კოსმეტიკური ოპერაცია გაეკეთებინა: „ოცი წლით უფრო ახალგაზრდად გამოიხედავ“.

...კი მაგრამ, ნამდვილად შემრცხვება ოცი წლით თუ გავაახალგაზრდავდები, სუყველა მიხვდება, რაც ჩავიდინე. უკვე საკმაოდ დანაოჭებული ვარ, მაგრამ მაინც ვისურვებდი ნაოჭების დამატებას, ვიდრე დაკლებას. ცქერას დამიწყებენ ნანაოჭართა აღმოსაჩენად, მაგრამ მაინც მოწესრიგება მინდა, როგორც კი ერთ კილოს ვიკლებ, ხელად ყელზე მეტყობა.

* * *

...**ახალი** მკერავი დავიქირავე და ვუთხარი: მოიხელსაქმე რამე, რათა მაჩვენო, რა შეგიძლიათ-მეთქი. მერმე ცოტა ხანს ვაცალე, იმან კი სუყველა ჯიბე ამოკერა და რაღაც-რაღაცები მიაკერა. ამაში რაღაც არაჩვეულებრიობის ნაპერწკალი იყო, ოღონდ მთავარი რამ აკლდა. ავდექი და ვუთხარი: მეგობარო, ხელები იმიტომ გვაბია, რათა ვამოძრაოთ-მეთქი. ვერ გამიგო: მოდელიორები ისეთ კაბებს ჭრიან, ჩამცმელს საძრაობა არა აქვსო. შიში მიპყრობს, როცა ასეთი რამეები მესმის, რა მოხდება მაშინ, როცა აღარავინ ჩემსავით აღარ იფიქრებს? ამას ვეუბნებოდი ჩემს მანეკენ გოგონებს:

– მე მალე მოვკვდები, ძალიან მნიშვნელოვან რამეებს გასწავლით. ნუ იქნებით ბრიყვები!

* * *

...**ერთი** რამ ფრიად მნიშვნელოვანი უნდა გითხრათ. მოდა დროა, ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა ქალის გაახალგაზრდავებაა, აგრეთვე უნდა, რომ ახალგაზრდად და ბუნებრივად გამოიყურებოდეს. აი, სწორედ მაშინ შეეცვლება აზრი ცხოვრებაზე. ქალი ცოტა უფრო გაბედნიერდება.

ნუ ვიგულმავიწყებთ, რომ ქალები მუდამ იყვნენ ძლიერნი ამა სოფლისანი. კაცები კი ქალებში მუდამ ბალიშს ეძებენ, რაზეც თავს რბილად დასდებდნენ. იმათ მუდამ ეჭირვებათ დედა, რომელიც უძიძავებდა, როგორც რომ პატარა ბავშვებს. ქალს უნდა, რომ კაცს ეუბნებოდეს ძლიერი, დიდი და მშვენიერი ხარო. არადა, სინამდვილეში ქალები არიან ძლიერნი და არა კაცები. ასეთია ჩემი აზრი. მე სულაც პროფესორი არა ვარ, მხოლოდ ჩემს მოსაზრებას გამოვხატავ. არც კიდევ ახალგაზრდა ვარ, ოღონდ უსასრულო სიახალგაზრდავეს ვგრძნობ. იმ დღისით, როცა თავს მოხუცად ვიგრძნობ, საწოლზე წამოვწვები და აგრე ვიქნები. სიცოცხლე ხომ ჭეშმარიტი სასწაულია.

მადმუაზელ კოკოს მოდური რჩევები

არცვისთვის საიდუმლო არ არის, რომ კოკო შანელი მრავალი თაობის კერპი გახდა. მადმუაზელ კოკომ თავის 88 წლის მთელ სიგრძეზე მსოფლიოს აჩუქა არა მარტო ტანსაცმლის თავისი სტილი, სუნამოთა განუმეორებელი სურნელი, მოდის სახლი, არამედ ფასდაუდებელი რჩევა-დარიგებანი დაუტოვა ქალებს, როგორ უნდა იყვნენ მოხდენილნი თავიანთი საკუთარი სტილით. აი, ზოგიერთი იმათგანი:

1. მუდამ შეიცვალე! კოკო შანელის აზრით, ჭეშმარიტი ქალი მუდამ უნდა იცვლებოდეს და სულ ერთპიროვნული სტილის შერჩევის ცდაში იყვეს.

2. შარვალი ქალს ათავისუფლებს. არცვისთვის საიდუმლო არ არის, რომ შანელს არ უყვარდა გრძელი თოფრე ქვედაბოლოები და იმ დროს აქტუალური იყო ჭრელი ფრთები. კოკოს მიაჩნდა, რომ ასეთი სამოსელი უხამსად გამოიყურება და ნლებს უმატებს ქალს. ამიტომ მან პირველმა გამოჭრა და ჩააცვა ქალს შარვალი, თუმცაღა დანარჩენი ქალები კორსეტებში იყვნენ ჩაჭედილნი და გრძელი თოფრე ქვედაბოლოები ეცვათ. სუყოველი ქალის გარდერობის ამ განუყოფელი ნაწილის წყალობით, ქალებს მოხერხებულად ჯდომის საშუალება მიეცათ, შეეძლოთ, რომ სწრაფად ემოძრავათ. დღისით კოკო მოკლე შარვალთ იცვამდა ძვირფას სვიტერებთან შეთანხმებულს, საღამოთი გამოსასვლელად კი დღესაც ცნობილი თოფრე შარვლები შემოიღო.

3. იდეალური ქვედა ბოლო ქალს მუხლებს უნდა უფარავდეს. როგორც დახვეწილ ნატურას, კოკოს მუდამ აღაფრთოვანებდა ქალის აღნაგობა. ძალიან მოსწონდა ნაკეცები, სწორი ხაზები და ქალურობა და მხოლოდ მუხლები მიაჩნდა უშნოდ. მუხლებს აუცილებლად სამოსელქვეშ უნდა ვფარავდეთო. კოკო შანელის მიერ შეიქმნა ქვედაბოლოთა რამდენიმე კლასიკური მოდელი (სწორი და ვიწრო, ჭრილთა შიგან ლამაზნაკეცებიანი ანდა პატარანაოჭებიანი) ფრიად მოხერხებული რამ საქმიან ქალთათვის.

4. სუყოველი ქალი ვალდებულია, რომ ჰქონდეს რამე აქსესუარები და რაც უფრო მეტი ექნება, მით უკეთესი. კოკო შანელი იმის უფლებას აძლევდა თავის თავს, რომ ბიჟუტერიასთან ერთად თან ჰქონოდა ძვირფასეულობაც. ვერცროდის უმარგალიტოდ ვერ ნახავდით, ვერც წითელ ულალისუმძივოდ, უზურმუხტოდ და სხვა უძვირფასეს უსპეკალოდ, უგულსაბნევ-უკამეაოდ, უბერეტოდ, შლაპა მუდამ წარბებამდე ჩამოფხატული ეხურა. 1924 წელს კოკომ ბიჟუტერიის წარმოების სახელოსნო გახსნა.

5. ნატიფი ფეხსამოსი მუდამ ორფერი შეიძლება რომ იყვეს... იდეალურ სამოსელში შეხამებული უნდა იყვეს როგორც ქალური, ისე მამაკაცური რამ.

კოკო შანელს უყვარდა ჯიბეები და მიიჩნევდა, რომ ქალის სამოსელს აკლდა მამაკაცის სამოსლის ეს დეტალი. ბევრი ჯიბის მოდა კოკომ შემოიღო არა მარტო სამოსლისთვის, არამედ აქსესუარსაც ნუ იგულმავიწყებთ, რომ Chanel-ის ჩანთების მთავარი დეტალი დღესაც ჯიბეებია.

კოკო შანელს ძალიან უყვარდა თეთრისა და შავის შეხმატკბილება, დროთა განმავლობაში მან შექმნა ცნობილი ფეხსამოსის მოდელი, თეთრი მოლაქული მაშიები, ცხვირწვეტიანი. კოკოს აზრით, ასეთნაირი ფეხსამოსი უფრო მეტად სექსუალურს ხდის ქალს და შესახედავად ფეხის ზომასაც ამცირებს, ამ ფეხსამოსის ჩაცმა სუყოველ სამოსელთან ერთად შეიძლება.

6. ქალის ჩანთა აუცილებლად თასმიანი უნდა იყვეს, რათა ხელები თავისუფალი ჰქონდეს ქალს. მადმუაზელ შანელისგან დამუშავებული შავი ჩანთა, შავთასმიანივე, ბიზნეს-ლედისთვის განკუთვნილი, დღესაც კლასიკურ მოდელად ითვლება. 1930-იან წლებში კოკო შანელმა შექმნა მოხერხებულად მხარზე გადასაკიდებელღვედიანი ჩანთა, ფრიად მსუბუქად სატარებელი, თანაც კიდევ ხელები თავისუფალი გაქვს.

7. სუყოველი თანამედროვე ქალის გარდერობში უნდა იყვეს პატარა შავი კაბა (Little black dress). მადმუაზელ შანელისთვის მთავარია სტილის შენარჩუნება და არა მოდა. კოკო შანელის მიზანი იყო ისეთი სამოსლის შექმნა, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი იქნებოდა როგორც დღისით, ისე საღამოთი გამოსასვლელად. ამასთანავე, სექსუალური იქნებოდა და სხვადასხვანაირად გამოახედებდა ქალს აქსექსუარებისდა შესაბამისად.

1926 წელს დამუშავებული პატარა სამოსელი სუყოველი ქალისთვის გასაჩუქრდა. როგორც ცნობილია, კოკო შანელამდე შავი ფერი უბედურადაც მიიჩნეოდა, მაგრამ საზოგადოებისთვის წარდგენილი შავი სამოსლის დამუშავებული მოდელი, რაც ქალს უფრო აღნაგს ხდიდა, ყველა ქალისთვის საყვარელ სამოსლად იქცა.

8. პიჯაკები აუცილებლად ისეთივე რბილი უნდა იყვეს, როგორც რომ ჟაკეტები. 1925 წელს კოკო შანელმა დაამუშავა და გამოუშვა ისეთი „რბილი პიჯაკები“, მერე და მერე ძალიან პოპულარული რომ გახდა. ისინი კარგად ეტმასნებოდა ტანს და საძრაობას ხელს არ უშლიდა. დამზადებული იყო ნაზი აბრეშუმისგან, მაღალჩაქიანი და ვიწრო სახელოებიანი. დამუშავებული მოდელები ქალს ანატიფებდნენ. არის აზრი, რომ კოკო შანელის დროინდელი ცნობილი ჟაკეტები დღესაც ძალზე კარგ ფასად საღდება.

9. სუნამოც სამოსელია. „იმ ქალს, ვინც სუნამოს არ იყენებს, მომავალი არა აქვს“ – იმეორებდა კოკო შანელი. პარფიუმი, ანუ ინანთეული დაამუშავა აგრეთვე ერნეს ბომ (მეფის კარის ყოფილმა პარფიუმერმა). კოკო შანელმა სთხოვა ბოს, ისეთი სუნამო შექმენი ქალისთვის, რომ ქალისავე სურნელი უდიოდესო. ბევრი ცდის შემდეგ პარფიუმერმა ბომ კოკოს სუნამოს ათ ვარიანტზე მეტი წარუდგინა, რომელთაგანაც კოკომ მხოლოდ რიგით მეხუთე აირჩია, აქედან წარმოდგა სახელწოდებაც. 1922 წელს გამოვიდა გამძლე სურნელი, რასაც ძნელად თუ აურევ სხვა სურნელებში. რჩებოდა რა თავის პრინციპთა ერთგული, მან მსუბუქი ქალური სურნელი მამაკაცის კვადრატულ შუშაში შეურია, სურნელი 80 კომპონენტისგან შედგებოდა, მანამდე კი ქალის სუნამო მხოლოდ ერთი ყვავილის სურნელს შეიცავდა.

11. თქვენს სილამაზეს ისე მოექეცით, როგორც წარმატების ერთ ნაწილს რასმე. როგორც მადმუაზელ კოკო იტყოდა: „რაც უფრო ასაკოვანია ქალი, მით უფრო მნიშვნელოვანია იმისთვის ლამაზად ყოფნა“.

* * *

კოკო შანელზე თხრობის დასრულება შეუძლებელია, უსასრულოდ შეიძლება განგრძობა. ეს იშვიათი ქალი არა მარტო მოდას ქმნიდა, არამედ მან კაცობრიობას დაუტოვა პირადი გამოცდილება, აზრები, თავისი სიბრძნე, უამრავი იდუმალი რამ, ნავარაუდევი და გამოცანა, რომელთა ამოცნობაც ჯერ კიდევ მოუწევთ კოკო შანელის ბიოგრაფთ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №39-44, 46-48, 51-53, 63-65, 70

◎ ჩემპიონი

სპორტსმენი, დედა, მწვრთნელი

მეუღლეს

შემინდე, რომ ვერ გიძღვენ ამ შობას
შეპირებული ციდა კრებული.
გარეთ ხომ მაინც ლაღობს ბავშვობა –
ნათხოვარ ციგით გახარებული!..

ნუ იტყვი: რომ ვერ მიტან-ჭიქიანს,
რომ დენდ პოეტებს ფულს ვესესხები...
მოდი და ჰკითხე შუკო ჯიქიას,
თუ ჭიქა არყად ღირან ლექსები.

ვიცი, რომ ოჯახს დიდი კუჭი აქვს,
ვერ დაანაყრებს მწირი ჯეჯილი...
და ეს ლექსიც ხომ სტამბის ჭუჭყია –
გულიდან ლუკმად ამოგლეჯილი!..

მაგრამ... სველ სულში სულ სხვა ლექსია –
ყრმა მოცარტივით ჰანგთა მთოვარი,
ამაღლებული თვით ეკლესია
და წამებული, ვით მაცხოვარი.

ჰოდა, ნუ მყვედრი, რაკი ამ შობას
ვერ მოგახარე პირმშო კრებული –
უბელო, როგორც კვიცი ბავშვობა,
და უკვე... ჩემებრ გაფითრებული.

ეს ლექსი მიუძღვნა ჩვენმა მეგობარმა, შესანიშნავმა პუბლიცისტმა და ამ ქვეყნიდან ნაადრევად დიდი ტკივილით წასულმა ერთ-ერთმა გამორჩეულმა პოეტმა ლაშა გახარიამ მეუღლეს, მშვენიერეს ქალბატონს, მწერალთა და ჟურნალისტთა საძმოში მართლაც უერთგულეს დაიკოს **როზა ბერიკაშვილს,** რომელმაც მიუხედავად დიდი ტკივილისა, რომელიც ვაჟის ტრაგიკულად გარდაცვალებას, შემდეგ მეუღლის იმქვეყნიურ საქართველოში დავანებას მოჰყვა, ფარხმალი არ დაუყრია, ოჯახი ფეხზე წამოაყენა, საფიცარ ქალიშვილსა და შვილიშვილებს დედა-ბებიობა გაუწია, ლაშა გახარიას პოეზია საქვეყნოდ გამოაბრწყინა, სამეგრელოს ულამაზეს სოფელ მუხურში აწ უკვე ტრადიციად და სახალხო ზეიმად ქცეულ ლაშაობას ჩაუყარა საფუძველი და ახლა, თითქოსდა ვალმოხდილი, ოჯახის, ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავის დაბადების დღეს – 70 წლის იუბილეს აღნიშნავს.

* * *

საკმარისია, ეს სიცოცხლით სავსე ქალბატონი გაიცნო, რომ მაშინვე პატივისცემით განიმსჭვალები მის მიმართ, მაგრამ თუ მის სპორტულ პორტრეტსაც გაეცნობი, მიხვდები, როგორ მოახერხა ცხოვრებისეულ დარტყმებთან ასე ღირსეულად გამკლავება.

დიახ, როცა 70-დან 63(!) წელს სარბიელზე გაატარებ და აქტიურად იქნები ჩართული მოწოდებით საყვარელ საქმეში, ბუნებრივია, სულით ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბდები.

მართალია, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრს მეხიკოში გამგზავრებამდე მიღებულმა ტრავმამ საოცნებო ფორუმზე გამოსვლის საშუალება არ მისცა, მაგრამ მაშინაც ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინა და სპორტული ტანმოვარჯიშის კარიერა ბევრისთვის სანატრელი მიღწევებით დაასრულა.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი იუნიორთა შორის, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი – დაგვეთანხმებით, ასეთი ტიტულები ჰაერიდან არ მოდის და ტალანტთან ერთად უდიდეს შრომისმოყვარეობას მოითხოვს.

ძვირფასი იუბილარის ამ თვისებას უნდა ვუმადლოდეთ მოგვიანებით, უკვე საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში დამსახურებულ განსაკუთრებულ ავტორიტეტს. ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალრის, ბატუტზე ხტომაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, სპორტის დამსახურებული მუშაკისა და ტანვარჯიშში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სადარბაზო ბარათის გაცნობა თვალსაჩინოდ მეტყველებს მის უნივერსალიზმზე, ფართო დიაპაზონსა და ალღოზე.

ქალბატონი როზას ნოვატორული ბუნების დასტურად რამდენიმე ფაქტი გამოდგება: სუსხიან 90-იან წლებში 31-ე ქარხნის (მიხეილ ცხადაია) დახმარებით, მისი ორგანიზებით ბატუტისტთა 25-კაციანი გუნდი უფასოდ გაემგზავრა მოსკოვში რუსეთის ღია პირველობაზე და შემდეგ – ერთთვიან შეკრებაზე, ხოლო მოგვიანებით – ასევე უფასოდ კრასნოდარში საერთაშორისო ტურნირზე; განათლების სამინისტროს თანადგომით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მაგიდის ჩოგბურთის პროფილით გახსნა სპორტული კლასები, თანაც აზერბაიჯანიდან სპეციალურად გადმოიყვანა ცნობილი მწვრთნელი იური სარიშვილი; საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებში ჩვენი პერსპექტიული ჩოგბურთელებისთვის სპარინგ-პარტნიორებად ჩამოჰყავდა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდი...



მწვრთნელ თინათინ ქოიავასთან ერთად

ამაგდარი სპეციალისტის გვირგვინს მის მიერ აღზრდილ სახელოვან სპორტსმენთა თანავარსკვლავედი წარმოადგენს, რომელთა სახელებითაც სამართლიანად ამაყობს სამშობლო: **ლუბა გოლოვინა, ანა ოდიშვილი, ნანა გოგაშვილი, თამარ კაკაშვილი, თენგიზ კოშკაძე, ევგენია შირინკინა, ელისო ბედოშვილი, ვერა ყიფიანი, გაბრიელა ხვედელიძე, სოფო ფარულავა, გიორგი შავიშვილი, გიორგი ექიზაშვილი, ლევან ბურკაძე, პაატა ბარამაშვილი, ძმები შირაბოკოვები, გიორგი კვირკველია, ნანა ჩაკვეტაძე, ნინო ჩქარიაული, თამარ გელდიაშვილი, ნინო გომარელი, ანა ლაპიაშვილი** – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ შეგირდებისა, მშობელივით რომ გამოაწრთო საკუთარ ქურაში მათმა ნაამაგარმა ოსტატმა.

ფილოლოგი, ფიზკულტურისა და სპორტის პედაგოგი, ტურიზმისა და სასტუმროების ეკონომიკის სპეციალისტი დედაენასთან ერთად რუსულსა და ინგლისურსაც ფლობს.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ მრავალმხრივი განსწავლულობითა და ინტელექტით გამორჩეული ჩვენი სასიქადულო თანამედროვე გულითად საიუბილეო მილოცვებს იღებს მრავალრიცხოვან მოყვასთაგან.

მათ ნუსხას ჩვენი რედაქციაც უერთდება!..

მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

ლაშაობაზე მუხურში, 2019 წ.

სადარბაზო ბარათი



1980-1983 წ. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზია. სპორტული კომენტატორი

1983-1988 წ. საქართველოს განათლების სამინისტრო. მხატვრული ტანვარჯიშის ბ.მ.ო.რ. სპორტული სკოლის დირექტორი.

1989-1992 წ. საქართველოს პროფკავშირების ნ.ფ.ს. საზოგადოება. მაგიდის ჩოგბურთის ბ.მ.ო.რ.რ. სპორტული სკოლის დირექტორი.

1992-1993 წ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის პრეზიდენტი.

1993-1999 წ. სპორტსაზოგადოება „შევარდენი“. ბატუტზე ხტომისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბ.მ.ო.რ სპორტული სკოლის დირექტორი.

1999-2002 წ. ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო.ბატუტზე ხტომისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბ.მ.ო.რ სპორტული სკოლის დირექტორი.

2002-2005 წ. ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო. ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის დირექტორი.

2006-2007 წ. ქ. თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის დირექტორი.

2007-2011 წ. ქ. თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების (კომპლექსური) მთავარი ცენტრის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის დირექტორი.

2011 წლიდან დღემდე ქ. თბილისის ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაცია 2012-ის პრეზიდენტი.

ARDAVIWYEBA

გოგი ლორთქიფანიძის – მეგობრისა და კოლეგის ხსოვნას

გოგი ლორთქიფანიძის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა.

განათლებით ისტორიკოსი, წლების განმავლობაში გოგი ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, ასევე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ პასუხისმგებელი რედაქტორი. აღნიშნულ ჟურნალში იგი 42 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა და ამას აკეთებდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ მეცნიერების მიმართ დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით. გოგიმ გაიარა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი გზა. 12 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში. თითქმის 16 წელი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტში და ზრდიდა სტუდენტთა თაობებს. სიცოცხლით სავსე, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მოყვასის მოყვარული, თავადაც ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ენციკლოპედიისათვის, მეგობრებისა და ახლობლებისათვის და, უპირველესად, მისი ოჯახისთვის, შვილისთვის, რომელიც ეამაყებოდა და რომელსაც ალალმართალ, კაცურ კაცად ზრდიდა. გოგი იყო უაღრესად ერუდირებული, საოცარი მეხსიერების მქონე, საენციკლოპედიო საქმისა და ისტორიული მეცნიერების უბადლო მცოდნე. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი გაგიზიარებდა, იყო უტყუარი და სანდო, ფაქტის ან მოვლენის ანალიზი — მართებული. თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, თავისი თაობის, და არა მარტო, ადამიანებს შორის ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა, რომელთაც გოგის უდროო, მოულოდნელმა წასვლამ თავზარი დასცა. დააკლდა გოგი მეგობრებს, კოლეგებს, მეცნიერებათა აკადემიისა და ენციკლოპედიის ყველა თანამშრომელს, ყველა სამუშაო ოთახს, სადაც იგი მუდამ სასურველი სტუმარი იყო და ყველგან ხალისი შეჰქონდა, საქმიან ატმოსფეროს ჰქმნიდა.

ორმოცი დღე გოგის გარეშე...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

„შშმ პირთა ისტორიების კონკურსი“



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შშმ პირებისათვის, ჟურნალისტებისა და ბლოგერებისთვის „შშმ პირთა ისტორიების კონკურსი“ გამოაცხადა.

ადმინისტრაციის ცნობით, კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით 14 ივნისს, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, საქართველოს პრეზიდენტის კონსულტანტმა შშმ პირთა საკითხებში სიმონ პეტრიდისმა პრესკონფერენცია გამართა.

„გილოცავთ, 14 ივნისი საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეა! ვირუსმა გარკვეულწილად შეცვალა ჩვენი გეგმები ამ დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები წლებია, ახორციელებენ პროექტებს შშმ პირთა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, მსოფლიო მასშტაბით შშმ პირები კვლავ აწყდებიან პრობლემებს, თუმცა არის გარკვეული პროგრესიც.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, შშმ პირებს მივცეთ შესაძლებლობა, თავად შეაფასონ ქვეყანაში არსებული სიტუაცია და გამოგვიგზავნონ საკუთარი წარმატებისა თუ წარუმატებლობის ისტორიები. კონკურსში ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ ჟურნალისტებსაც და ბლოგერებსაც, რათა თავად აღმოაჩინონ და გააშუქონ შშმ პირთა შესახებ საინტერესო ისტორიები.

კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება. კონკურსი არ იქნება ერთჯერადი ხასიათის და მის ორგანიზებას მომავალ წლებშიც ვგეგმავთ. კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე“, — განაცხადა სიმონ პეტრიდისმა.

ქურდი ქურდობას არ იშლის!..

შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ბათუმში დააკავეს 1993 წელს დაბადებული მოქალაქე, რომელსაც ბათუმში ტაძრის გაქურდვა ედება ბრალად.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, ის წარსულში ქურდობისთვის იყო ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ იყო.

გამოძიების თანახმად, ბრალდებული 2 ივნისს, ბათუმში მდებარე საკათედრო ტაძარში „მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 30 ლარამდე თანხას და საეკლესიო ნივთებს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“. გამოძიების თანახმადვე, ბრალდებულმა მარტში, ბათუმში, ერთ-ერთ მოქალაქეს საფულე და მობილური ტელეფონი მოპარა, ხოლო მაისში — სავაჭრო ჯიხური გაქურდა და გასაყიდ სუვენირებს უკანონოდ დაეუფლა.

ნაქურდალი ნივთები ამოღებულია.

კონკურსი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისია აცხადებს კონკურსს გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად განაცხადები მიიღება შემდეგ დარგებში: ლიტერატურა, ხელოვნება, პუბლიცისტიკა და მეცნიერება.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია ენიჭება ლიტერატურის დარგში — ბოლო ორი წლის მანძილზე წიგნად გამოცემულ ყველა ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებს (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართულ თარგმანს, ლიტერატურული კრიტიკისა და დოკუმენტური პროზის ნიმუშებს (არ განიხილება საბავშვო ლიტერატურა). ასევე, პრემია ენიჭება ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში შექმნილ ნაწარმოებს (ნაშრომს), რომელმაც მხატვრულ და სხვა ღირსებათა გამო აღიარება მოიპოვა, განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში;

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა არა უმეტეს ოთხისა, თითოეული 3000 ლარის ოდენობით.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში კანდიდატთა წარდგენის პირობები და წესი:

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში;

ბ) პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარდგენილიქნეს პირი მისი მოქალაქეობის მიუხედავად;

გ) პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი კანდიდატი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი;

დ) კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ბოლო ორი წლის მანძილზე შექმნილი ნამუშევრით; ის უნდა ეხმიანებოდეს აფხაზეთის თემატიკას, ემსახურებოდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პოპულარიზაციას.

ე) საკონკურსო ნაწარმოები (ნაშრომი) წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. ნაწარმოებს (ნაშრომს), სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში, თან უნდა ერთვოდეს სრული ქართული თარგმანი;

ვ) ლიტერატურული, პუბლიცისტური და მეცნიერული ნაწარმოების თუ ნაშრომის საკონკურსოდ წარდგენა დასაშვებია მხოლოდ მისი დასრულებული სახით (წიგნად) გამოქვეყნების შემდეგ;

ზ) ხელოვნების სხვადასხვა დარგებში შექმნილი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, რაც მათ სრულიად გაეცნობა საზოგადოება (კონცერტებზე, გამოფენებზე, თეატრებში, მასმედიის მეშვეობით და ა.შ.);

თ) დაუშვებელია პრემიის მოსაპოვებლად კომისიის მიერ ერთხელ უკვე უარყოფილი ნაწარმოების (ნაშრომის) ხელმეორედ წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაწარმოები (ნაშრომი) საკონკურსოდ დაშვებული არ იქნა ტექნიკური მიზეზების გამო. ასევე, ავტორის წარდგენა განმეორებით შესაძლებელია ახალი ნამუშევრით;

ი) ავტორთა ჯგუფისათვის პრემიის მინიჭების შემთხვევაში პრემია ავტორთა შორის ნაწილდება თანაბრად;

კ) პირს, გარდაცვალების შემდეგ, პრემია შეიძლება მიენიჭოს იმ შემთხვევაში, თუ იგი გარდაცვალებამდე იყო წარდგენილი, ან გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელოვანი ნაწარმოები (ნაშრომი).

კონკურსში მონაწილეობისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წარდგინება, ანუ ნაწარმოების, ნაშრომის აღწერა-დახასიათება იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიაზე წარდგენა. დოკუმენტს ხელს აწერს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

2. სასურველია წარმოდგენილ იქნეს საკონკურსო ნაწარმოების, ნაშრომის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა მასალები ნაწარმოებზე, ნაშრომზე წარმოდგენის შესაქმნელად.

3. საჭიროების შემთხვევაში ცნობა, სადაც მითითებული იქნება ნაწარმოების (ნაშრომის) გამოცემის (შექმნის) ზუსტი თარიღი.

4. კანდიდატის ბიოგრაფია (CV).

5. ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკის და მეცნიერების დარგში შექმნილი ნაწაროებები 11 ეგზემპლარად (აუდიო, ვიდეო ჩანაწერები, მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურა 11 ეგზემპლარად). წარმოდგენილი ნაშრომები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

6. კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ორი ფოტოსურათი (6X9 სმ).

საკონკურსო განცხადებებისა და თანდართული მასალების მიღების ვადები

1. საკონკურსო განცხადებები და მასალები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2020 წლის 16 ივნისიდან - 01 აგვისტოს ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე.

2. კონკურსის საბოლოო შედეგები და პრემიის ლაურეატთა სია გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2020 წლის 5 დეკემბრისა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
საქართველო, თბილისი 0102, უზნაძის ქ.№68,
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო,
ხელოვნების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური, მე-3 სართული,
საკონტაქტო პირი: ლიანა ხურცილავა, ეკატერინე გადილია
ტელ: 599 85 54 41; 595 45 33 45.

ილია მეორე: ჩვენი ქვეყანა მდიდარია წმინდანებით, საქართველო უცხოეთში ოქროსა და ვერცხლს კი არა, მადლს ეძებდა...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ყველა წმინდანის ხსენების დღესთან დაკავშირებით ისაუბრა.

„ჩვენთან არს ღმერთი. ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს. დღეს არის ყოველთა წმინდანთა დღე. საქართველო მდიდარია წმინდანებით. საქართველო ეძებდა უცხოეთში სიმდიდრეს კი არა, ოქროსა და ვერცხლს კი არა, ეძებდა მადლსა. წმინდა სამება აძლევდა მადლსა და ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მადლის ქვეყანა ვართ, მადლი უხვად ეფინება საქართველოს.

რა არის წმინდანი, დღეს არის ყოველთა წმინდანთა დღესასწაული, წმინდანი, რომელიც არ არის კმაყოფილი დღევანდელი დღით, არსებული მდგომარეობით, წმინდანი არის ის ადამიანი, რომელიც ცდილობს, დღეს იყოს უკეთესი, ვიდრე ის იყო გუშინ. სულიერ კიბეზე ადის წმინდანი და მე გისურვებთ თქვენ ყველას რომ, ჩვენ ყველანი ავიდეთ სულიერ კიბეზე.

მრავალი მაგალითი არის ჩვენს წინაშე, მაგალითად, წმინდა ნიკოლოზი ეხმარება არაქრისტიანებსაც, ყველას ეხმარება და წმინდა ნიკოლოზს უწოდებენ სწრაფ დამხმარეს და სასწაულთმოქმედს. მე პირადად არაერთხელ მიმიღია დახმარება წმინდა ნიკოლოზისა. წმინდა გიორგი, წმინდა ნინო და ყოველნი წმინდანნი შეგეწიონ თქვენ და საქართველოს, ჩვენთან არს ღმერთი“, — განაცხადა ილია მეორემ.

◎ სულიერება

პეტრეპავლობის მარხვა

დღეს, 15 ივნისს დაიწყო პეტრეპავლობის მარხვა. სულთმოფენობის მეორე შვიდეული ყოველთა წმიდათა კვირიაკედ იწოდება, ხოლო ორშაბათიდან წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს მარხვით იწყება და 12 ივლისს გვირგვინდება მათი ხსენებით.

საგულისხმოა, რომ ძველად ამ მარხვას „ერგასის შემდგომს“ უწოდებდნენ.

საეკლესიო გადმოცემით, იგი ჯერ კიდევ მოციქულებს დაუწესებიათ. მარხვა თევზით ხსნილია, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა.

გიული ლიპარტია

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ქართველი კადეტის წარმატება



„ქართველმა კადეტმა ზვიად ჯოლოხავამ წარმატებით დაამთავრა ვესტ პოინტის სამხედრო აკადემია! ვულოცავთ ზვიადს და ყველა ქართველ კადეტს, რომლებმაც წელს აშშ-ის სამხედრო აკადემიები წარმატებით დაამთავრეს!“ — აღნიშნულია აშშ-ში საქართველოს საელჩოს პოსტში.

ყველა დაცული ტერიტორია ვიზიტორებს მიიღებს

დღეიდან საქართველოს ყველა დაცული ტერიტორია ვიზიტორების მიღებას აღადგენს. ტერიტორიებზე შესვლა ნებადართულია ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით. ყველა ვიზიტორს ტერიტორიაზე შესვლამდე ჩაუტარდება უკონტაქტო თერმოსქრინინგი, დახურულ შენობებსა და ვიზიტორთა ცენტრებში, მათ შორის მღვიმეებში, სავალდებულოა პირბადის ტარება და დისტანციის დაცვა.

დაცული ტერიტორიები საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობაა, ულამაზესი ბუნებით, ხელუხლებელი ტყეებით, კანიონებით, მღვიმეებით, დინოზავრის ნაკვალევით და მრავალფეროვანი სერვისებით, რაც მოგზაურობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

2019 წელს, საქართველოს ეროვნულ პარკებს 1 200 000 ვიზიტორი ესტუმრა. მათ შორის, ყველაზე დიდი პოპულარობით გამოირჩეოდა: ყაზბეგის ეროვნული პარკი; მარტვილის კანიონი; პრომეთეს მღვიმე; ოკაცეს კანიონი; თბილისის ეროვნული პარკი.

მოკრძალებული იუბილე

ბრიტანეთის დედოფალმა 94 წლის იუბილე მოკრძალებულად აღნიშნა. მონარქის პატივსაცემად ბუკინგემის სასახლესთან არც ტრადიციული აღლუმი გამართულა და არც ზარბაზნებიდან უსვრიათ.

94-ე დაბადების დღეს ელიზაბეტ II მეუღლესთან ერთად უინძორების სასახლეში შეხვდა, სადაც ისინი თვითიზოლაციაში იმყოფებიან. სასახლის ეზოში მარშით გვარდიის პოლკმა ჩაიარა. ცერემონია სოციალური დისტანცირების წესის დაცვით გაიმართა.

დაბადების დღე ბრიტანეთის დედოფალს 21 აპრილს აქვს, თუმცა საჯაროდ ის იუბილეს ივნისის მეორე შაბათ დღეს აღნიშნავს.

პროტესტის უცნაური ფორმა

არგენტინაში მღვდელმა პროტესტის ნიშნად ეკლესია კაფე-ბარად „გადააკეთა“.

სანტა-ფეს პროვინციის ქალაქ სან-ლორენსოში მდებარე ევანგელისტურ ტაძარში მაგიდები განთავსდა, მიმტანებად გადაცმული პასტორები კი ლანგრებით სახარების ეგზემპლარებს არიგებდნენ. ასეთი გადაწყვეტილება ტაძრის წინამძღვარის, პასტორ დანიელ კატანეოს განცხადებით, ქვეყანაში რელიგიურ შეკრებებზე დაწესებული აკრძალვის მოხსნაა.

„ბარები და მაღაზიები იხსნება, ტაძრებში კი კვლავ შეზღუდვები მოქმედებს. რატომ ვხვდებით დისკრიმინაციის მსხვერპლი? რწმენის თავისუფლება კონსტიტუციითაა დაცული“, — აცხადებს დანიელ კატანეო.



სანტა-ფეს პროვინციაში კორონავირუსთან ბრძოლის მხრივ ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებლებია, თუმცა მიუხედავად ამისა, ტაძრებში 10-ზე მეტი ადამიანის შეკრება აკრძალულია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!